# აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№114 (24.994) ხუთშაბათი, 20 - 21 ოქტომბერი, 2022 წ. 50 თეთრი


## გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია წვიმა ელჭექით, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 17-22, მთაში - 7-12 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 19 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

ხვალ ამინდი შენარჩუნდება, ზეგ მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსა N იუსი

იმედი გვაქვს, წლევანდელ წელს ორნიშნა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლით დავასრულებთ, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ინვესტორთა საბჭოს სხდომაზე. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, 2022 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით და შეადგინა 922 მილიონი დოლარი. მთავრობის მეთაურმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების შესახებ, ასევე, წარუდგინა მომავალ წელს დაგეგმილი პროექტების, ინიციატივებისა და პრიორიტეტების შესახებ მთავრობის ხედვა.

* * *

პარლამენტმა, პირველი მოსმენით, კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების პროექტი მიიღო, რომელიც გენერალური პროკურორის 90-ხმიანი კვორუმით არჩევას ითვალისწინებს. პროექტის თანახმად, მომდევნო ორი მოწვევის პარლამენტი გენერალურ პროკურორს ამ წესით აირჩევს. თუ პარლამენტი გენერალურ პროკურორს ორჯერ ვერ აირჩევს აღნიშნული წესით, არჩევა სრული შემადგენლობის უმრავლესობით ანუ 76 ხმით მოხდება, გენერალური პროკურორის უფლებამოსილების ვადა კი ექვსი წლის ნაცვლად, იქნება ერთი წელი. მმართველი გუნდი აცხადებს, რომ ევროკავშირში ინტეგრაციისთვის შემოთავაზებულია მოდელი, რომელსაც არავითარი საუკეთესო ევროპული გამოცდილება არ გააჩნია.

* * *

ომბუდსმენის პოსტის დასაკავებლად პარლამენტში 19 პირის განაცხადი შევიდა. როგორც პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ლევან იოსელიანმა განაცხადა, ყველა კანდიდატს მიეცემა პარლამენტის წინაშე წარდგომისა და საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის საშუალება. „მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ 19-ვე კანდიდატი წარვადგინოთ. ამის შესაძლებლობას პარლამენტის რეგლამენტი და პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება იძლევა“, - განაცხადა იოსელიანმა.

* * *

პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის“ თავმჯდომარე გიორგი ვაშაძე ევრორეკომენდაციის საკითხებზე მომუშავე უმაღლესი რანგის პირებს ხვდება. „ამჯერად ვხვდებით ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოების წარმომადგენლებს, იმ ადამიანებს, ვინც ანგარიშებს ამზადებს საქართველოზე, იმ ადამიანებს, ვინც გულშემატკივრობს საქართველოს, იმ დეპარტამენტების და უწყებების ხელმძღვანელებს, ვინც სისტემატურად აკვირდება საქართველოს. ჩვენი ამოცანაა, რომ ჩავიტანოთ სიმართლე“, - აცხადებს ვაშაძე.

მოამზადა
ია შველიძემ

# მინისტრმა დეპუტატებს მიმდინარე და დაგეგმილ ღონისძიებებზე მიაწოდა ინფორმაცია

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*აჭარის საკანონმდებლო ორგანოში გამართულ აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრს ზაზა შავაძეს მოუსმინეს, რომელმაც დეპუტატებს 2022 წლის გასულ და მიმდინარე პერიოდში გაწეული საქმიანობისა და მიმდინარე, თუ დაგეგმილი პროექტების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა*



მინისტრმა ასევე გაამახვილა ყურადღება იმ ღონისძიებებზე, რომელიც ციტრუსის მოსავლის შეუფერხებლად რეალიზაციას შეუწყობს ხელს. მისივე ინფორმაციით, ორგანიზებულად განხორციელდება მოსავლის აღება-დაბინავება, რასაც სეზონზე მოქმედი საკოორდინაციო შტაბი შეუწყობს ხელს.

კომიტეტის სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ აჭარის ტერიტორიაში შემავალ ტყეებში არსებული მდგომარეობის დასადგენად, აუცილებელია დაიწყოს ტყეების თემატური მოკვლევა.

- მნიშვნელოვანია შევისწავლოთ ტყეების ზოგადი მდგომარეობა. გამოვკვეთოთ პრობლემური - გამეჩხრებული ტერიტორიები, ასევე ტურისტული პოტენციალის მქონე ლოკაციები. გავაკეთოთ სათანადო დასკვნები და შევიმუშავოთ რეკომენდაციები, - განაცხადა უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტკარაძემ. მან სხდომაზე ასევე წარადგინა ინფორმაცია „დაცული ტერიტორიების (ქობულეთი, კინტრიში, მტირალა, მაჭახელა) მიმდებარე დასახლებებში ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა-განხილვის, რეკომენდაციების შემუშავების და მათი შემდგომი მოგვარების მიზნით ადგილობრივ ორგანოებთან თანამშრომლობის“ შესახებ საკომიტეტო განხილვის დაწყების თაობაზე.

კომიტეტმა წარმოდგენილი ინფორმაციები ცნობად მიიღო.

# ბათუმისა და კლაიპედას მერებმა თანამშრომლობისთვის მზაობა დაადასტურეს

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

*ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა და ლიეტუვის რესპუბლიკის ქალაქ კლაიპედას მუნიციპალიტეტის მერმა ვიტაუტას გრუბლიაუსკასმა ქალაქ ბათუმისა და ქალაქ კლაიპედას მუნიციპალიტეტებს შორის სამომავლო თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს მოაწერეს ხელი*



მემორანდუმი ითვალისწინებს თანამშრომლობის განხილვას განათლების, კულტურის, ხელოვნების, ტრანსპორტის, ეკოლოგიის, ჭკვიანი ქალაქების, ურბანული განვითარებისა და სხვა სფეროებში.

ვიზიტის ფარგლებში, მხარეებმა ისაუბრეს ქალაქებს შორის პოტენციური თანამშრომლობის საკითხებზე და დაადასტურეს მზაობა პარტნიორული ურთიერთობების დამყარების თაობაზე.

შეხვედრას ბათუმის მერის მოადგილე ლელა სურმანიძე, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე და ლიეტუვის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ანდრიუს კალინდრა ესწრებოდნენ.


## რა ვერ გათვალა რუსეთმა? 3

## მოგონილი ისტორიები ლტოლვილის სტატუსის მისაღებად 5

## პოზიტიური პასუხი - გამოწვევებს 4

## «სწორი არჩევანი გავაკეთე» 6



## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.



დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# ლევან დავითაძე პარტნიორობის ბიზნესფორუმს დაესწრო

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

***ბათუმის ვიცე-მერი ლევან დავითაძე პრაღაში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ბიზნესფორუმს დაესწრო***

ფორუმი მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ პარტნიორებსა და ევროკავშირს შორის ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობის გაღრმავებისა და გაფართოების შესაძლებლობების განხილვას.

ბიზნესფორუმის ფარგლებში გაიმართა სესიები. მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ, გაეზიარებინათ ახალი იდეები პარტნიორობის შემდგომი გაძლიერების მიმართულებით.

ფორუმში მონაწილეობდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ვიცე-პრემიერი ლევან დავითაშვილი, რომელმაც ისაუბრა საქართველოსთვის ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელობაზე და იმ რეფორმების ფართო სპექტრზე, რომლებიც მიზნად ისახავს არა მხოლოდ ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას, არამედ ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების ხელშეწყობას სხვადასხვა სფეროში.



ფორუმი ჩეხეთის რესპუბლიკის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსა და ევროკომისიის ორგანიზებით გაიმართა.

# საინფორმაციო შეხვედრა ქობულეთში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

***აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერ ლევან ზოიძესთან ერთად, ლეღვაში, ქაქუთსა და წყავროკაში მოსახლეობის წარმომადგენლებს შეხვდა***

მინისტრმა მოქალაქეებს ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ახალი ინიციატივის შესახებ, რომელიც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ახალი მოდელის ამოქმედებას გულისხმობს. მისი დანერგვის შემდეგ, მომსახურების მიღებისას, პაციენტს დამატებითი ხარჯის გაწევა აღარ მოუწევს და მხოლოდ იმ თანხას გადაიხდის, რასაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, თანაგადახდის წილი ითვალისწინებს (0-დან 30%-მდე, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის პაკეტების შესაბამისად).

- საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივა პირველი ნოემბრიდან ამოქმედდება. მინდა აღვნიშნო, რომ აქამდე რეგიონის მოსახლეობას აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო სახელმწიფო ტარიფის ფარგლებში, სამედიცინო მომსახურების თანაგადახდას სხვადასხვა პროგრამით უფარავს, მათ შორის, განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში თანხა გამოიყოფა აჭარის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, რაც უმნიშვნელოვანესი მხარდაჭერაა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. დაფინანსების სისტემის ახალი მოდელის ამოქმედების შემდეგ ჩვენ შესაძლებლობა გვექნება თანხები მოსახლეობის სხვა საჭიროებებისაკენ მივმართოთ, - აღნიშნა ნინო ნიჟარაძემ.



მინისტრმა ასევე ისაუბრა მიმდინარე პროგრამებისა და დაგეგმილი სიახლეების შესახებ და აღნიშნა, რომ სამინისტროში მოქალაქეთა მიღება ყოველდღიურად წარმოებს, მოსახლეობას საშუალება აქვს, ინდივიდუალურად მიმართოს უწყებას და მიიღოს სახელმწიფოს მხრიდან საჭირო მხარდაჭერა.

შეხვედრას ქობულეთის მაჟორიტარი დეპუტატი უმაღლეს საბჭოში ცოტნე ანანიძე, ქობულეთის საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილი და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძე ესწრებოდნენ. მოსახლეობასთან შეხვედრები აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ინიციატივით რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში იმართება.

# აფხაზეთის თასზე

ნანა დავითაშვილი 598 24 94 97

***თბილისში ჩატარდა შეჯიბრება ძიუდოში აფხაზეთის თასზე, რომელშიც 2008-2009 და 2010-2011 წლებში დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ მთელი საქართველოს მასშტაბით***

წარმატებით გამოვიდნენ აჭარის სპორტსმენები.

2010-2011 წლებში დაბადებულ სპორტსმენებს შორის ლიზი ქადიძემ (29 კილოგრამ წონით კატეგორიაში) და თათია კიკნაძემ (48კგ) ოქროს მედლები მოიპოვეს, მარი წულუკიძემ (40კგ) და სესილი კირკიტაძემ (33კგ) - ვერცხლი, ანასტასია ოზდემირი (29კგ) ბრინჯაოს დასჯერდა.

2008-2009 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის ანა აბაშიძემ (36კგ), მარი ვარშანიძემ (44კგ), თამთა თებიძემ (52კგ), მარი მახარაძემ (48კგ) ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს, ეთერ ვარშანიძემ (44კგ), ლინდა აბაძიძემ (52კგ), ლიზი ბოლქვაძემ კი ბრინჯაო.

შეჯიბრებისთვის სპორტსმენები მოამზადეს მწვრთნელებმა მალვინა კირკიტაძემ, შორენა შარაძემ, ნანი კირკიტაძემ.



# ახალი პროექტი შშმ პირებისთვის

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

**საქართველოს საჯარო სკოლებში იწყება ახალი პროექტი, რომლის მიზანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების ხარისხის გაუმჯობესებაა.**



**პროექტის დეტალები განათლების სამინისტროში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს. უწყების წარმომადგენლებმა ინკლუზიური განათლების მიმართულებით გაწეული სამუშაოსთვის პროექტში ჩართულ მხარეებს მადლობა გადაუხადეს.**

**პროექტის ფარგლებში, იგეგმება სკოლებში რესურს-ოთახებთან დაკავშირებული საჭიროებების შეფასება და მათი აღჭურვა, სკოლის პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება და ბევრი სხვა ღონისძიება, რომელიც მიმართულია შშმ ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, იგეგმება სკოლების ბაზაზე მშობელთა საგანმანათლებლო კლუბების შექმნაც.**

**პროექტის განსახორციელებლად საქართველოს მასშტაბით შეირჩა 10 საჯარო სკოლა - თბილისში, რუსთავში, მარნეულში, თელავში, ქუთაისში, ქობულეთსა და ბათუმში. პროექტში მონაწილეობას, ასევე, მიიღებენ აღნიშნულ ქალაქებში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები და რესურს-სკოლები.**

**პროექტი ნორვეგიის მთავრობის დაფინანსებით, გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და ორგანიზაცია „ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისთვის“ პარტნიორობით ხორციელდება.**

# გურამ ჭანტურიას მემორიალი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

***ბათუმის მუხრან ვახტანგაძის სახელობის სპორტის სასახლეში გაიმართა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გურამ ჭანტურიას მემორიალი ელვისებურ ჭადრაკში***

ტურნირი, რომელიც ჩატარდა ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით, შვიდ ტურად გაიმართა. მასში მონაწილეობდა 37 მოჭადრაკე. შეჯიბრება იყო ღია და ასევე 12 წლამდე ასაკის კატეგორიაში.

ღია კატეგორიაში პირველ ადგილზე გავიდა თენგიზ დიდმანიძე, მეორეზე - ჯამბულ მახარაძე, მესამეზე - ზვიად ქამადაძე. ქალთა შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა თინათინ ბერიძემ.

12 წლამდე კატეგორიაში პირველი ადგილი დაისაკუთრა შოთა ცეცხლაძემ, მეორეზე გავიდა ნუგზარ ასკეროვი, მესამეზე - რატი დიასამიძე.

გოგონათა შორის საუკეთესო იყო ანა მალაზონია.



გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ მედლებით, დიპლომებით, თასით, ფულადი ჯილდოთი და ფასიანი საჩუქრებით.

# საქართველო – პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე




სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ორგანიზებით საქართველო პარიზში ევროპის მასშტაბით ერთ-ერთ უმსხვილეს საკვები პროდუქციის საერთაშორისო გამოფენა „ Sial Paris 2022“-ზე წარდგა.

სააგენტოს ინფორმაციით, ქართველმა მონაწილეებმა დაამყარეს ბიზნესკავშირები პოტენციურ დამკვეთებსა თუ პარტნიორებთან და საზოგადოებას გაუზიარეს საქართველოს საექსპორტო პოტენციალი და საექსპორტო ბაზრის მრავალფეროვნება.

საქართველო გამოფენაში მეოთხედ მონაწილეობს. წელს ამის შესაძლებლობა 28 საკვებისა და სასმლის მწარმოებელ ქართულ კომპანიას მიეცა.

„გამოფენა დაახლოებით 6000 კომპანიას აერთიანებს, რომელთა წარმომადგენლები 200-ზე მეტი ქვეყნიდან სასურსათო ბიზნესის გლობალური ტენდენციების გასაცნობად ჩამოდიან. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი პროდუქცია: ჩირი, თხილი, ნუში, კაკალი, ჯემი, თაფლი, ცოცხალი ხილი და ბოსტნეული, სუნელები, კენკროვანი კულტურები, ნატურალური წვენი, ჩაი, ცივი ჩაი, ლიმონათი, ლუდი, მინერალური წყალი.

აღსანიშნავია, რომ USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის მხარდაჭერით ვიზიტიორებს საშუალება მიეცათ, საქართველოს სტენდთან დაეგემოვნებინათ ქართული ტრადიციული კერძები“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

**ამირან გურიელიძე**

# რა ვერ გათვალა რუსეთმა?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*„დედამიწაზე ერთ-ერთი ურწმუნო, უსულო და უსამართლო ერი რუსია - ჩამორჩა ცივილიზაციას, არაფრის სწამს... რაც ჩეჩნეთში ხდება, მხოლოდ საბაბია, სინამდვილეში კი ეს რუსი ერის მისწრაფებაა“ - ამბობდა ჩეჩნეთის ლეგენდარული პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი, რომელმაც, სხვათა შორის, რუსეთ-უკრაინის ომიც იწინასწარმეტყველა და ისიც დასძინა, რომ გამარჯვებული უკრაინა იქნება. ამ სიტყვებმა მეტი დატვირთვა შეიძინა ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე*



მთელმა მსოფლიომ დაინახა რუსეთის იმპერიული სულისკვეთება, ფართომასშტაბიანი ომი უკრაინის წინააღმდეგ, ბუჩასა და იზიუმის ტრაგედია, ათასობით დახოცილი მშვიდობიანი მოქალაქე, ათიათასობით დაჭრილი და მილიონობით ლტოლვილი... ეს ხდება 21-ე საუკუნეში, როცა, წესით და რიგით, მსოფლიო თანამეგობრობა პლანეტის ეკოლოგიური უსაფრთხოებითა და სხვა ცივილიზაციების შეცნობით უნდა იყოს დაკავებული. არადა, 90-იანი წლების დასაწყისში ზვიად გამსახურდია და ჯოხარ დუდაევი მოუწოდებდნენ დასავლეთს რუსეთზე მოეხდინათ გავლენა, არ დაეჯერებინათ კრემლის მმართველების დაპირებები რუსეთის გაკეთილშობილების თაობაზე და რეალურად დაეჭირათ მხარი პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის. იმ პერიოდში, სამწუხაროდ, დასავლეთმა რუსეთის იმპერიულ ზრახვებზე თვალი დახუჭა, რასაც მოჰყვა საქართველოს, ჩეჩნეთის და მოლდოვას სუვერენიტეტის ხელყოფა. აი, მაშინ უნდა დაეწესებინა დასავლეთს სანქციები რუსეთისთვის, მაგრამ ევროპა მასზე ენერგოდამოკიდებული იყო და დიდად არც პოსტსაბჭოთა ქვეყნები აქტიურობდნენ დასავლეთთან დაახლოებისთვის. გარდა ამისა, რუსული პროპაგანდა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა დასავლეთზე - თითქოს ჩეჩნები ტერორისტები იყვნენ, ქართველებმა კი გენოციდი მოუწყვეს ოსებს. ამ მხრივ აქტიურობდნენ ე. წ. რუსი ლიბერალები, მაგალითად, ნემცოვი, იავლინსკი... დიდად არც სხვა რუსი დემოკრატები იკლავდნენ თავს საქართველოს და, მით უფრო, ჩეჩნეთის უფლებების დაცვისთვის, ერთადერთი პოლიტიკოსი ვალერია ნოვოდვორსკაია გახლდათ, რომელიც ამხელდა კრემლის ზრახვებს საქართველოსთან მიმართებით და მსოფლიოს რუსეთზე სანქციების დაწესებისკენ მოუწოდებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ნოვოდვორსკაია რუსეთის მხრიდან არც ახალ ომს გამორიცხავდა... ასეც მოხდა, რუსეთმა ჯერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია განახორციელა, მერე ყირიმი მიითვისა, ახლა კი აგრესიას ახორციელებს უკრაინის მიმართ, თუმცა 2014 წლისგან განსხვავებით ახლა უკრაინა მომზადებული დახვდა აგრესორს. სწორედ ამის შესახებ საუბრობს ცნობილი რუსი პუბლიცისტი და უფლებადამცველი ვიქტორ შენდეროვიჩი: „პუტინმა ვერ გათვალა, შეცდომა დაუშვა ან შეაცდინეს, რომ უკრაინა არის სუსტი და დასავლეთს სიმტკიცე არ გააჩნია. ის მიიჩვია აზრს, რომ დასავლეთის მოსყიდვა შეუძლია. ამის შესაძლებლობას პუტინს მისი ჯარი და იმპერიული სულისკვეთება აძლევდა... რომ არა უკრაინის გმირული წინააღმდეგობა, იგი საბჭოთა კავშირს აღადგენდა“.

მსოფლიო თანამეგობრობა გამოფხიზლდა, ამოქმედდა ეკონომიკური სანქციები, რამაც შედეგი გამოიღო - რუსეთის ეკონომიკა არასახარბიელო მდგომარეობაშია, რამაც ომის მსვლელობაზეც იმოქმედა. უკრაინა კონტრშეტევაზე გადავიდა და იზიუმი, ლიმანი გაათავისუფლა. როგორც ამბობენ, დღე-დღეზე ხერსონს გაათავისუფლებს და შტურმს ყირიმზეც მიიტანს. სხვათა შორის, უკვე რუსეთის საზოგადოებაში გაჩნდა მოწოდებები პუტინის გადადგომის თაობაზე და ისმის კითხვა: რუსეთის პრეზიდენტის შემცვლელი ვინ იქნება და როგორ პოლიტიკას გაატარებს ის პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ?

რუსეთის ისტორიიდან ცნობილია, რომ ამ უკანასკნელის ომში მარცხის შემთხვევაში მმართველები ან თმობდნენ ძალაუფლებას, ანდა ნადგურდებოდნენ. აშკარაა, რომ რუსეთი უკრაინაში მარცხდება. ომის სურათი ამის მკაფიო მაგალითია, უკრაინამ ყირიმის, დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონების გარდა, პრაქტიკულად, ყველა ოკუპირებული ტერიტორია გაათავისუფლა. დასავლური დაზვერვის ინფორმაციის თანახმად, წლის ბოლომდე ომი დასრულდება უკრაინის გამარჯვებით, რაც, ცხადია, არ გამორიცხავს რუსეთის სათავეში ახალი მმართველის მოსვლას. ამ ფონზე ხშირად კითხულობენ - რა პოლიტიკას გაატარებს კრემლის ახალი მმართველი საერთაშორისო პოლიტიკაში, ანუ რუსეთი კვლავ იმპერიულ ქვეყნად დარჩება თუ ცივილურ გზას აირჩევს? დასავლეთი ეტაპობრივად ცდილობს რუსეთის დამარცხებას და არა - ერთბაშად, რათა ქვეყანაში ქაოსმა არ დაისადგუროს და ბირთვული იარაღი სხვადასხვა სახელმწიფოს საკუთრებაში არ აღმოჩნდეს. უკრაინაში ჩამოყალიბდა რუსეთის განმათავისუფლებელი არმია, რომლის მიზანი, როგორც ისინი აცხადებენ, რუსეთის დემოკრატიულ სახელმწიფოდ გადაქცევაა. ამასთან დაკავშირებით არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხზე მსურს გავამახვილო ყურადღება: რუსულ პოლიტიკურ ელიტაში თითქმის არ მოიძებნებიან რეალურად პოსტსაბჭოთა ქვეყნებისადმი ლოიალურად განწყობილი პოლიტიკოსები, რომლებიც რეალურად დაგმობდნენ კრემლის პოლიტიკას თუნდაც კავკასიის მიმართ. აი, მაგალითად, ოპოზიციონერი ნავალნი, რომელიც ახლა პუტინის ტყვეა, თავის დროზე მიესალმა რუსეთის შეჭრას საქართველოში, ბიზნესმენმა ხადარკოვსკიმ კი განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კავკასია რუსეთის შემადგენლობაში უნდა დარჩეს.

ისინი არ გმობენ კრემლის პოლიტიკას კავკასიაში და არ აღიარებენ ჩეჩენთა გენოციდს ჩეჩნეთის პირველ და მეორე ომში. ასევე მკაფიოდ არ ამბობენ, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და ა. შ. მგონი, ამ მხრივ გამონაკლისი რუსი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ილია პონომაროვია, რომელიც აცხადებს, რომ რუსეთმა დაპყრობილი ტერიტორიები უნდა დატოვოს. ამიტომ დასავლეთი ამ მიმართებით ფრთხილი უნდა იყოს და ადრინდელი შეცდომები აღარ დაუშვას, თავის დროზე ენდო დასავლეთი ელცინს და პუტინს (დაეხმარა მათ ქვეყნის გაძლიერებაში), რომლებმაც ჯერ საქართველოს წაგლიჯეს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, მერე ჩეჩნეთი გაასწორეს მიწასთან და ახლა უკრაინის განადგურება სურთ. სწორედ ამის შესახებ საუბრობს რუსი ჟურნალისტი ანა ჩურკინა, რომელიც, სხვათა შორის, საქართველოში დაიბადა და ჩვენი ქვეყნის პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრე იყო, ახლა კი იჩქერიის კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელია უცხოეთში. ის რუსულ პროპაგანდას ამხელს დასავლურ მედიაში, მისი თქმით, ე. წ. რუსი ლიბერალების მესიჯი დასავლეთში ასეთია - რუსეთის რეფორმირება შეიძლება, რასაც რუსი დემოკრატები განახორციელებენ. „მე არ მჯერა ე. წ. რუსი ლიბერალების, რადგან ისინი მხოლოდ გმობენ რუსეთის აგრესიას უკრაინის მიმართ, მაგრამ ხმას არ იღებენ ქართველთა ეთნოწმენდაზე ცხინვალის რეგიონში, არ აღიარებენ ჩეჩენთა გენოციდს... როდესაც ამას წინათ პრაღაში ვიმყოფებოდი ფორუმზე (რუსეთის მომავალი რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ), დელეგატებს ერთი უმნიშვნელოვანესი კითხვა დავუსვი - როცა გმობთ რუსეთის აგრესიას უკრაინის მიმართ, რატომ არ საუბრობთ რუსეთის დანაშაულზე ჩეჩნეთსა და საქართველოში, რომ ელცინის ინიციატივით დაამხეს საქართველოს კანონიერი ხელისუფლება, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოს ნაწილია და რომ ჩეჩნეთს აქვს დამოუკიდებლობის კანონიერი უფლება. სანამ ამაზე ღიად არ ისაუბრებთ და ბოდიშს არ მოიხდით ქართველებისა და ჩეჩნების წინაშე, მანამდე თქვენი და რუსეთის ნდობა არ შეიძლება, - დასძინა მან ფორუმზე გამოსვლისას და მოუწოდა დასავლელ გავლენიან მედიასაშუალებებს, მეტი ყურადღება დაუთმონ პოსტსაბჭოთა ქვეყნების პრობლემებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მიმართებით დასავლეთი ინერტულობას იჩენს, რაც, ექსპერტთა თქმით, კრემლის ლობისტების დამსახურებაა.

> ,, *დასამალი არაა, რომ რუსეთის აგენტურული ქსელის გამოვლენა არც ისე ადვილია. სწორედ ამ აგენტების და ლობისტების მეშვეობით ცდილობს რუსეთი დასავლეთში განხეთქილების შეტანას - თითქოს აშშ-ს და ნატოს რუსეთის დაშლა სურთ და ამ მიზნით დასავლეთმა უკრაინა გამოიყენა რუსეთთან საბრძოლველად, რაც სრული აბსურდია*

დასამალი არაა, რომ რუსეთის აგენტურული ქსელის გამოვლენა არც ისე ადვილია. სწორედ ამ აგენტების და ლობისტების მეშვეობით ცდილობს რუსეთი დასავლეთში განხეთქილების შეტანას - თითქოს აშშ-ს და ნატოს რუსეთის დაშლა სურთ და ამ მიზნით დასავლეთმა უკრაინა გამოიყენა რუსეთთან საბრძოლველად, რაც სრული აბსურდია. რეალურად ნატო კი არ უქმნის საფრთხეს რუსეთს, არამედ, შეიძლება ითქვას, იცავს მის საზღვრებს, კერძოდ, რუსეთს ესაზღვრება ბალტიისპირეთის ქვეყნები, რომლებიც ნატოს წევრები არიან, სწორედ ამ ქვეყნებთან აქვს მოწესრიგებული საზღვარი რუსეთს. რატომ თრგუნავს რუსეთი ამ მხრივ მსოფლიოს? როგორც ჩანს, კრემლში ვარაუდობენ, რომ შეძლებენ დასავლურ საზოგადოებაში რუსეთისადმი თანაგრძნობის გაჩენას და, ამავდროულად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ანტიდასავლური რიტორიკის გაღვივებას.

უახლოეს მომავალში რუსეთისგან არ უნდა ველოდოთ პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ აგრესიული პოლიტიკის შეცვლას, რადგან ამ ქვეყანაში არ ჩანს ძალები, რომლებიც უარს იტყვის აგრესიულ ზრახვებზე. ამ ფონზე ერთადერთი საიმედო მოკავშირე ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატებია, რომლებმაც საქართველოს მხარდაჭერა არაერთხელ გამოავლინეს.

## „ჯეოქეისის“ ინფორმაციით...

საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის პერსპექტივას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა პოლონეთის საერთაშორისო საქმეთა ინსტიტუტისა (PISM) და ანალიტიკურ ცენტრ „ჯეოქეისის“ თანამშრომლობით ორგანიზებული დახურული ონლაინსემინარი, რომელშიც „ჯეოქეისის“ თავმჯდომარე ვიქტორ ყიფიანი და ცენტრის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების დირექტორი ემილ ავდალიანი მონაწილეობდნენ.

სემინარზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ სამხარაძე,




გამოცემა Forbes Women-ის მთავარი რედაქტორის მოადგილე აგნეშკა ფილიპიაკი, „ჯეოქეისის“ აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების დირექტორი ემილ ავდალიანი და Centre for Eastern Studies (OSW)-ის თურქეთის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტის უფროსი ანალიტიკოსივოიჩეკ გორეცკი.

„ვიქტორ ყიფიანმა და PISM-ის უფროსმა ანალიტიკოსმა არკადიუშ ლეგიეცმა სემინარის სადისკუსიო განხილვებს მოდერაცია გაუწიეს. სემინარის მონაწილეებს, ასევე, სიტყვით მიმართა პოლონეთის საერთაშორისო საქმეთა ინსტიტუტის დირექტორმა სლავომირ დებსკიმ. დისკუსია აქტიური კითხვა-პასუხის რეჟიმით გაგრძელდა და შეჯამებისას აღინიშნა, რომ, ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ფარგლებში, მსგავსი თემატიკის ღონისძიებები კვლავაც გაიმართება“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

## უცხოეთი

ევროპარლამენტმა შენგენის სივრცეში რუმინეთის და ბულგარეთის მიღების დაჩქარების შესახებ რეზოლუცია მიიღო. დოკუმენტს მხარი 547-მა ევროპარლამენტარმა დაუჭირა, 49 წინააღმდეგ წავიდა, ხოლო 43-მა თავი შეიკავა. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ევროკავშირის საბჭომ 2022 წლის ბოლომდე უნდა მიიღოს შენგენის სივრცეში რუმინეთისა და ბულგარეთის ინტეგრაციის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილება, რითაც 2023 წლიდან უნდა გაუქმდეს შიდა საზღვრებზე ადამიანების შემოწმება. ევროპარლამენტარებმა აღნიშნეს, რომ რუმინეთმა და ბულგარეთმა რამდენიმე წლის განმავლობაში ყველა შესაბამისი მოთხოვნა შეასრულეს, თუმცა ევროკავშირის საბჭომ დღემდე ვერ მიიღო მათი ინტეგრაციის გადაწყვეტილება. რეზოლუციის თანახმად, შიდა სასაზღვრო კონტროლის შენარჩუნება დისკრიმინაციულია და სერიოზულ გავლენას ახდენს ევროპელი მოქალაქეების ცხოვრებაზე, კერძოდ კი მაღალი მობილობის მქონე მუშებზე.

* * *

ევროკომისიის ხელმძღვანელ ურსულა ფონ დერ ლაიენის განცხადებით, 8 თვეში ევროკავშირმა რუსული გაზის ორი მესამედის ჩანაცვლება შეძლო. ამის შესახებ მან სტრასბურგში, ევროპარლამენტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა. „გაზაფხულზე ვვარაუდობდით, რომ რუსულ გაზზე უარის თქმას 7 წელი დასჭირდებოდა. დღევანდელისათვის ფაქტები ასეთია: ჩვენ დაგვჭირდა მხოლოდ რვა თვე, რათა რუსული გაზის ორი მესამედი ჩაგვენაცვლებინა. ძალიან დავაჩქარეთ მოწოდების სხვა წყაროებზე გადასვლა, თუმცა ამისთვის მაღალი ფასი გადავიხადეთ“, - განაცხადა ურსულა ფონ დერ ლაიენმა.

* * *

საფრანგეთის პროფესიულმა კავშირებმა ქვეყნის მასშტაბით გაფიცვა გამოაცხადეს. „როიტერის“ ინფორმაციით, ისინი გაზრდილი ინფლაციის ფონზე ხელფასის მატებას ითხოვენ. სააგენტოს ცნობით, გაფიცვა, მეტწილად, გავლენას საჯარო სექტორზე - სკოლებსა და ტრანსპორტზე მოახდენს. აღნიშნული გაფიცვა ნაწილია მანამდე დაწყებული ერთკვირიანი პროტესტისა, რამაც საფრანგეთის ძირითადი ქარხნების მუშაობა და ბენზინგასამართი სადგურების შეფერხება გამოიწვია. გაფიცვას მხარს უჭერენ და აქციაში ჩართვას აპირებენ სახელმწიფო მოხელეებიც, მათ შორის, სახელმწიფო სავადმყოფოების, კერძო კლინიკებისა და მოხუცებულთა თავშესაფრების თანამშრომლები.

* * *

ესტონეთის პარლამენტმა დაამტკიცა რეზოლუცია, რომელიც გმობს რუსეთის მიერ ოკუპირებული უკრაინის ტერიტორიების ანექსიის მცდელობას და რუსეთის რეჟიმს ტერორისტულ რეჟიმად აღიარებს, - ინფორმაციას ამის შესახებ უკრაინული მედია ესტონეთში უკრაინის ელჩ მარიანა ბეცაზე დაყრდნობით ავრცელებს. დოკუმენტს მხარი 88-მა ესტონელმა დეპუტატმა დაუჭირა, წინააღმდეგი არავინ წასულა. „რიიგიკოგუ აცხადებს რუსეთის რეჟიმს ტერორისტულად, ხოლო რუსეთის ფედერაციას ტერორიზმის სპონსორ სახელმწიფოდ. რიიგიკოგუ საერთაშორისო საზოგადოებას მსგავსი დეკლარაციების დამტკიცებისკენ მოუწოდებს“, - აღნიშნულია დოკუმენტის პროექტში.

გვერდი მოამზადა
ია შველიძე

# პოზიტიური პასუხი – გამოწვევებს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*გაზეთ „აჭარის“ სტუმარია აჭარის საკანონმდებლო ორგანოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე მადონა ლომინაძე. იგი თავისი შემართებითა და მიზანმიმართული საქმიანობით მაგალითის მიმცემია არაერთი შშმ სტატუსის მქონე ადამიანისათვის. მიაჩნია, რომ არაერთი გამოწვევის მიუხედავად, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ შშმ პირთათვის ხელმისაწვდომი გახდეს გარემო*



**- რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ უფრო ხელმისაწვდომი იყოს შშმ პირთათვის გარემო?**

- ჩემთვის, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის, მნიშვნელოვანია გარემოს ადაპტირება. ყველა იმ შშმ მოზარდისთვის, ვინც ჯერ კიდევ სწავლა-განათლების მიღების პროცესშია, გამარტივებული უნდა იყოს სასწავლებელში მისვლა და განათლების მიღება. შესაბამისად, როცა გარემო ადაპტირებული იქნება, გამარტივდება განათლების მიღება, ეს კი იქნება წინაპირობა, დასაქმების პრობლემის აღმოსაფხვრელად.

**- მიუხედავად გარკვეული ცვლილებებისა, ყოველდღიურ ცხოვრებაში რა წინაღობები გხვდებათ გადაადგილებისას?**

- დიდი ხანია, ეტლით მოსარგებლე გახლავართ. ყოველდღიურ ცხოვრებაში შეიძლება შეხვდე არაერთ დაბრკოლებას, მაგრამ მაინც უფრო მეტად იმაზე გავაკეთებ აქცენტს, რომ ბევრი რამე დადებითისკენ შეიცვალა, მე ასე ვხედავ, ყოველ შემთხვევაში. მოხარული ვარ, რომ ხელისუფლებისგან არის მზაობა, მოაგვარონ აღნიშნული მიმართულებით შშმ პირების წინაშე მდგარი პრობლემები. როგორც აღვნიშნე, დიდი ხანია ეტლით გადავადგილდები და თამამად შემიძლია ვთქვა - რისი შესაძლებლობაც არ მქონდა წლების წინ, დღეს უკვე ჩემთვის გამარტივებულია. დღეს ყოველდღიურად, დამოუკიდებლად გამოვდივარ სამსახურში.

**- შშმ პირები ერთ-ერთ ყველაზე ყურადსაღებ პრობლემად სამსახურის არქონას და დამსაქმებლების მხრიდან მათ მიმართ დამოკიდებულებას მიიჩნევენ...**

- რა თქმა უნდა, არის, ვერ უარვყოფ ამ საკითხს, მაგრამ ვფიქრობ, მაინც მეტი აქტივობაა საჭირო თვითონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისგან, რათა შევაცვლევინოთ ხედვა და დამოკიდებულებები დამსაქმებლებს. უნდა დაინახოს დამსაქმებლებმა, რომ ჩვეულებრივი შესაძლებლობების მქონე ადამიანი ხარ, რომ შენ, როგორც სხვებს, შეგიძლია ბევრი რამის კეთება. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ჩვენი უფლებებისთვის და მჯერა, ის ხარვეზები, რაც არსებობს, მალე აღმოიფხვრება.

**- საზოგადოებაში არსებულ სტიგმებზე რას გვეტყვით?**

- სტიგმას იწვევს ცნობიერების არქონა საზოგადოებაში. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ მეტად ჩაკეტილები არიან ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ადამიანები, მეტად არიდებენ თავს საზოგადოებაში და ხალხმრავალ ადგილებში გამოსვლას. ყველას არ აქვს ერთი და იგივე ფსიქიკა, ვერ უძლებს ყველა თუნდაც უამრავი ადამიანის დაჟინებულ მზერას ქუჩაში. მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურად გამოვდივარ ქუჩაში, მაინც ვგრძნობ ადამიანებისგან განსხვავებულ, დაჟინებულ სევდიან მზერას. მე საკუთარი თავი მივიღე და შევიყვარე ისეთი, როგორიც ვარ, შესაბამისად, არ ვაქცევ ყურადღებას, როგორ მიყურებს და რას ფიქრობს ჩემზე საზოგადოება. მაგალითად, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს, ფეხით დავდივარ თუ ეტლით, საზოგადოების ერთ-ერთ სრულფასოვან წევრად მივიჩნევ თავს, რომელსაც შეუძლია იცხოვროს ჩვეულებრივად, როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანს და ჰქონდეს ისეთივე დღის წესრიგი, როგორიც ყოველ თქვენგანს.

*„სტიგმას იწვევს ცნობიერების არქონა საზოგადოებაში. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ მეტად ჩაკეტილები არიან ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ადამიანები, მეტად არიდებენ თავს საზოგადოებაში და ხალხმრავალ ადგილებში გამოსვლას. ყველას არ აქვს ერთი და იგივე ფსიქიკა, ვერ უძლებს ყველა თუნდაც უამრავი ადამიანის დაჟინებულ მზერას ქუჩაში*

**- როგორ ფიქრობთ, შშმ პირთა უფლებები არის დაცული ჩვენს ქვეყანაში?**

- რა თქმა უნდა, არის დარღვევები, ვერ გამოვრიცხავთ ამას და ვერ დავხუჭავთ ყველაფერზე თვალს, ხდება, თუმცა თუ მთლიან სურათს შევხედავთ, ვფიქრობ, რომ ჩვენი უფლებები დაცულია. ყველა უწყებისგან არის მზაობა, მოგვისმინოს და გაითვალისწინოს ჩვენი პოზიცია, ყველაფერი კეთდება უკეთესი მომავლისთვის, შშმ პირების ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

**- რას ეტყვის რეალიზებული, წარმატებული, მშვენიერი ქალბატონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს, რომლებსაც დღემდე ეშინიათ საზოგადოებაში არსებული სტიგმების?**

- ვფიქრობ, თითოეულმა მათგანმა უნდა გამონახოს საკუთარ თავში ძალა და დაძლიოს შიში, მოერიოს ყოველგვარ სტიგმას, მოერიოს შფოთვას იმის გამო, რომ ვინმესგან დაჟინებულ მზერას იგრძნობს, ვინმე დაჩაგრავს. მინდა ვუთხრა მათ, იყონ მეტად აქტიურები, ჩაერთონ საზოგადოებრივ საქმიანობებში, რაც მეტ ყურადღებას და ინტერესს გამოიწვევს დამსაქმებლებში. თუ შენ არ მოინდომე და გამოდი „ნაჭუჭიდან“, არავინ არ მოგაკითხავს სახლში. ის, რაც გვაქვს, ცხოვრებისეული ხვედრია, უნდა მივიღოთ ჩვენი წილი ცხოვრება ისეთი, როგორიც არის და ვიბრძოლოთ უკეთესი მომავლისათვის.

# „შშმ პირთა უფლებებისთვის ბრძოლა ჩემი ყოველდღიურობაა“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*შუახევში გამართულ კინომოყვარულთა პირველ ახალგაზრდულ ფესტივალზე ყველას ყურადღება მიიპყრო შშმ პირების - მარიამ აბაშიძისა და ნიკოლოზ ვერძაძის ფილმმა „ჩვენ აქ ვართ“. სპეციალურმა ჟიურიმ მისი სცენარი საუკეთესოდ სცნო. ახალგაზრდების აღნიშნულ პროექტში ჩართვა, როგორც აღმოჩნდა, მეტწილად დედების დამსახურება იყო. ვესაუბრებით მარიამის დედას* ***ნატალია სხალთელს (დავითაძეს)****. იგი ჩვენი სტუმარია.*

**- მარიამმა დედის ცხოვრებაში, საზოგადოებრივ და პროფესიულ საქმიანობაში გარკვეული კორექტივები შემოიტანა. პროფესიით პედაგოგმა (დაწყებითი კლასების მასწავლებელმა) შშმ პირთა საქმიანობაში ჩართვა ამჯობინეთ...**

- დიახ, მარიამის დაბადებამ მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება, ხედვა და მიზანი. ეს განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მარიამი ფეხმძიმობიდან რვა თვის თავზე მოევლინა ქვეყანას შეზღუდული შესაძლებლობით (სმენის არმქონე). სწორედ ამ დღიდან დაიწყო ჩემი მეორე ცხოვრება. ჯერ იყო გამორკვევა და გათვითცნობიერება იმ მდგომარეობის, რაც მარიამს ჰქონდა, შემდეგ მიმღებლობის პერიოდი. ეს ყველაფერი, საბედნიეროდ, ძალიან მოკლე დროში შევძელი, მერე იყო ბრძოლა მისი გადარჩენისთვის, მისი ყოველდღიურობისთვის და მისი უფლებებისთვის. თანდათანობით ჩავერთე შშმ პირთა კუთხით სხვადასხვა საქმიანობაში.

**- გყავთ, ასევე 21 წლის ვაჟი, ანრი აბაშიძე ქართულ ჯარში მსახურობს. მის დაკვალიანებაში რა როლი მიგიძღვით?**

- სიამაყით ვამბობ, ვარ ქართველი ჯარისკაცის დედა. მახარებს ის ფაქტი, რომ პირნათლად და სიყვარულით იხდის ვალს ქვეყნის წინაშე. მე მას ვაძლევ რჩევას ყველა საკითხში, თუმცა არასოდეს ვახვევ თავს ჩემს აზრს, არჩევანი და გადაწყვეტილება ყოველთვის მასზეა.

**- მარიამმა და ნიკოლოზმა კინომოყვარულთა ახალგაზრდულ ფესტივალზე საზოგადოებას თავიანთი ფილმი წარუდგინეს - მოგვიყევით ამის შესახებ...**

- გულახდილად მინდა გითხრათ, რომ ეს არ იყო მარტივი გზა, სანამ აქამდე მოვიდოდით და რაიმე ღირებულს გავაკეთებდით ბევრი ვიშრომეთ. ნიკოლოზს ჰყავს არაჩვეულებრივი დედა და სწორედ მისი და ჩემი ყოველდღიური მუშაობის შედეგია ის, როგორებიც არიან დღეს ჩვენი შვილები - რეალიზებულები, მიზანსწრაფულები, ეუფლებიან პროფესიას და არიან ჩართულნი ბევრ აქტივობაში. კამერებს, სცენას მიჩვეულები არიან. ბათუმის ინკლუზიური თეატრალური დასის წევრთა რიგებში ირიცხებიან და ნათამაშები აქვთ რამდენიმე სპექტაკლში. ამიტომაც არ გაძნელებიათ ფილმის გადაღება. როცა გავიგე ამ პროექტის შესახებ, იდეა გავუზიარე ნიკოს დედას და დაახლოებით ორ საათში გადავიღეთ ეს ფილმი, არანაირი წინასწარი სამზადისი არ გვქონია. ეს იყო მათი ერთი ჩვეულებრივი დღე. მინდა გითხრათ, რომ ორი სხვადასხვა მდგომარეობის ადამიანი თამაშობს ფილმში, რომლებისთვისაც ყველაზე დიდი სირთულე არის კომუნიკაცია. მსგავსი არც ფილმი მახსენდება და არც წიგნი, სადაც პერსონაჟები არიან სმენის არმქონე და აუტისტური სპექტრის მქონე ადამიანები, რომლებმაც მოახერხეს კომუნიკაცია, მეტიც - დამეგობრება და ერთმანეთს ეხმარებიან ყოველდღიურობაში. სწორედ ამ მიზნით სწავლობს ნიკოლოზი ჟესტურ ენას. მათმა გულწრფელობამ მიაღწია მაყურებლამდეც და ავიღეთ ორი პრიზი, გავხდით შუახევის მერიის რჩეული და ჟიურიმ ფილმის სცენარი საუკეთესოდ აღიარა. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მაყურებლის რეაქცია. მათ სწორად გაიგეს ის გზავნილი, რაც ნიკოლოზმა და მარიამმა გაუგზავნეს ამ ფილმით. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ამ პროექტის იდეის ავტორს და ყველა იმ ადამიანს, ვინც წვლილი შეიტანა ფესტივალის ჩატარებაში.

**- რაა გასაკეთებელი, რომ მარიამი საზოგადოებაში სრულად ინტეგრირებული იყოს?**

- საამისოდ ჯერ ბევრია გასაკეთებელი, უპირველესად, უნდა შეიცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება შშმ პირების მიმართ, ისინი სხვათა თანასწორად უნდა იყვნენ ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის მხოლოდ მშობელს არ უნდა უწევდეს ბრძოლა, სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს იმ კანონის აღსრულებაზე, რაც საბედნიეროდ, უკვე გვაქვს მიღებული.

*„ჯერ ბევრია გასაკეთებელი, უპირველესად, უნდა შეიცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება შშმ პირების მიმართ, ისინი სხვათა თანასწორად უნდა იყვნენ ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის მხოლოდ მშობელს არ უნდა უწევდეს ბრძოლა, სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს იმ კანონის აღსრულებაზე, რაც საბედნიეროდ, უკვე გვაქვს მიღებული*

**- საზოგადოებრივ ქსელში ხშირია ჩანახატი, პუბლიცისტური წერილი, რომელსაც ხელს აწერს ნატალია სხალთელი. ამ ფსევდონიმის არჩევას რა წინაპირობა ჰქონდა?**

- სხალთელი არ არის ჩემთვის მხოლოდ ფსევდონიმი, რომელიც უბრალოდ მომწონს. ეს მოდის ჩემი ისტორიული და ულამაზესი ხეობიდან, რომლითაც ვამაყობ. ერთგვარი ტვირთიც ავიღე საკუთარ თავზე, რომ ღირსეულად ვატარო სხალთელის სახელი, თავისი სიდიადით და ტკივილებით. მაქვს ფეისბუქგვერდი, „ნატას ბლოგი“, სადაც ჩემს მკითხველს ვაცნობ შშმ ბავშვებსა და მათ მშობლებს საინტერესო ისტორიებით. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ აქ განთავსებული ინფორმაცია გამოვცე წიგნად და ამით ნაწილობრივ გავუმარტივო გზა იმ ახალბედა მშობლებს, რომლებსაც ჰყავთ შშმ შვილები.

**- წერალი, პოეტი, რომელიც თქვენს ცხოვრებაში დამრიგებლად შემოვიდა?**

- შორს არ წავალ და ვიტყვი - ვახტანგ ღლონტი. მისი პოეზიის გარეშე ჩემი ქალაქი ისეთი ვერ იქნებოდა, როგორიც დღეს არის. არაერთი ტკივილის მიუხედავად, მას არასოდეს დაუხევია უკან. მეც ვცდილობ, ხვალინდელი დღე უკეთესი რომ იყოს, არ შევწყვიტო ბრძოლა.

**- პედაგოგიური საქმიანობა თუ შშმ პირებთან ურთიერთობები - არჩევანის წინაშე რომ დადგეთ...**

- მე არჩევანი ერთხელ უკვე, 18 წლის წინ გავაკეთე და იგივეს გავიმეორებდი. შშმ პირთა უფლებებისთვის ბრძოლა ჩემი ყოველდღიურობაა და ერთი სიცოცხლე ვერ იქნება ალბათ საკმარისი, ყველა ჩანაფიქრი რომ განვახორციელო, რაც გულით მინდა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მცირედი წვლილი შემაქვს ამ კუთხით.



# ძუძუს კიბოს ადრეულ ასაკში აღმოჩენა – სრულად გამოჯანმრთელების უდიდესი შანსი...



ნანა აბულაძე 577 20 35 90

***ოქტომბრის თვე მთელ მსოფლიოში ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიას, აღნიშნული მიმართულებით რისკების შესახებ ცნობადობის გაზრდას, ასევე ონკოპაციენტთა მიმართ სოლიდარობის გამოცხადებას ეძღვნება.*** „ვარდისფერ ოქტომბერს" როგორც სხვადასხვა ქვეყანაში, საქართველოშიც არაერთი აქტივობით უერთდებიან. ოფიციალური მონაცემებით, ქალთა ონკოლოგიურ დაავადებებს შორის, ძუძუს კიბო საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია. მაგალითად, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემების მიხედვით, 2020 წელს სარძევე ჯირკვლის კიბოს 1500 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, 2019 წელს კი 1629 იყო. სკრინინგის პროგრამა საქართველოში 2008 წელს დაიწყო. მას შემდეგ ყოველწლიურად სულ უფრო მეტი ქალი მიმართავს ექიმს, თუმცა, ჯანდაცვის სპეციალისტების განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ძუძუს კიბოს სკრინინგი, ჩივილების მიუხედავად, ყველა ქალს სჭირდება, ისინი ხშირად პასიურობენ, რასაც შიშით ხსნიან, არადა, ექიმები ყოველთვის ხმამაღლა მოგვიწოდებენ, წელიწადში ერთხელ მაინც ჩავიტაროთ კვლევები, მივიდეთ მამოლოგთან და გავისინჯოთ სარძევე ჯირკვალი, მინიმუმ ორ წელიწადში ერთხელ კი მამოგრაფიული კვლევა ჩავიტაროთ. მათივე განმარტებით, დაავადების ადრეულ ასაკში აღმოჩენის შემთხვევაში, სრული გამოჯანმრთელების ძალიან დიდი შანსია და, შეიძლება ითქვას, რომ პირველ და მეორე სტადიაში დადგენილი დაავადების 98 პროცენტი სრული გამოჯანმრთელებით მთავრდება. ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არაერთი წელია მოქმედებს უფასო სკრინინგის პროგრამები, 50 პროცენტზე მეტ შემთხვევაში, დაავადების აღმოჩენა მესამე და მეოთხე სტადიაში ხდება, რაც ნიშნავს, რომ მკურნალობა შეიძლება დაგვიანებულიც იყოს. აუცილებლად უნდა გვახსოვდეს ქალბატონებს, რომ ძუძუს კიბო განაჩენი არ არის და ადრეულ სტადიაზე დაავადების დამარცხება შესაძლებელია.

ნინო 37 წლისაა. ძუძუს კიბოს მეორე სტადიაზე მიუსწრო. მიუხედავად იმისა, რომ ეჭვი ჰქონდა, როგორც ამბობს, „ფეხს ითრევდა", თუმცა მეგობრის დაჟინებული თხოვნით მივიდა ექიმთან და დღეს მადლობელია, რომ ეს ნაბიჯი გადადგა.

- ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ბანაობისას მკერდში რამდენიმე კვანძი შევნიშნე. მოგვიანებით მეგობარს გავუმხილე აღნიშნულის შესახებ, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ძალით გამიშვა გამოკვლევაზე. წავედი მამოლოგთან, რომელმაც გამაგებინა უსიამოვნო ამბავი. თავდაპირველად პანიკაში ჩავვარდი, მეგონა, რომ დასრულდა ყველაფერი, მაგრამ შემდეგ თავს ძალა დავატანე და დავიწყე ინფორმაციების მოძიება ძუძუს კიბოსთან დაკავშირებით. პარალელურად დავიწყე მკურნალობა და, შეიძლება ითქვას, რომ დღეს თითქმის განკურნებული ვარ. გოგონებს, ქალბატონებს მინდა ვთხოვო, გაესინჯეთ ექიმს ძუძუს კიბოს ავადობაზე და დაადგინეთ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

დღეს ძუძუს კიბო სრულად განკურნებადია, შეიძლება ითქვას, რომ ეს განაჩენი აღარ არის. გთხოვთ დროულად ჩაიტაროთ სკრინინგი, მით უმეტეს, დიაგნოსტიკა უფასო და ხელმისაწვდომია. ყოველთვის ბედნიერი და მოხარული ვიქნები, თუ მცირედით მაინც შევძლებ წვლილის შეტანას ადამიანების ინფორმირებაში, - გვითხრა ნინომ.



ძუძუს კიბოსთვის დამახასიათებელ სიმპტომებსა და მისი მკურნალობის თანამედროვე მეთოდებზე გაზეთ „აჭარასთან" ექიმმა, ონკოქირურგმა **მზია ხალვაშმა** ისაუბრა.

- ძუძუს კიბო ქალების ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. თუმცა, სკრინინგისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდების დახმარებით, მისი ადრეული დიაგნოსტირებაც გამარტივდა და წარმატებული მკურნალობის შანსებიც მნიშვნელოვნად გაიზარდა. რაც შეეხება ძუძუს კიბოს სიმპტომებს, ესენია: დვრილის ფორმის შეცვლა, მისი ჩაბრუნება, გადასწორება, დვრილიდან გამონადენი (სისხლიანი ან უსისხლო), ძუძუს ან დვრილის გამკვრივება ან შეშუპება, ძუძუს ფორმის შეცვლა, სიმსივნური კვანძის არსებობა ძუძუში, იღლიებსა და რეგიონულ არეებში ლიმფური კვანძების გადიდება და სხვა. აქვე ყურადღება უნდა გავამახვილო დიაგნოსტიკურ შესაძლებლობებზე. ქვეყანაში ხელმისაწვდომია ძუძუს კიბოს სახელმწიფო სკრინინგის პროგრამა. მის ფარგლებში, ქალებს უტარდებათ მამოლოგის გასინჯვის, მამოგრაფია, ულტრაბგერითი გამოკვლევა. პროგრამა 40-70 წლის ქალებისთვის სრულიად უფასოა. ამ გამოკვლევების დახმარებით, შესაძლებელია, აღმოვაჩინოთ ისეთი კვანძები თუ ცვლილებები ძუძუში, რაც ხელით არ ისინჯება. ჩემი რჩევა იქნება, დადგნენ ჯანმრთელობის სადარაჯოზე, არ მისცენ დაავადების განვითარებას საშუალება, ჩაიტარონ რეგულარული პროფილაქტიკური გასინჯვა და სკრინინგი, ყოველთვიური თვითგასინჯვა, უარი თქვან მავნე ჩვევებზე, როგორიცაა ალკოჰოლისა და თამბაქოს მოხმარება.

მნიშვნელოვანია ყოველდღიური ვარჯიში, ჯანსაღი წონის შენარჩუნება, სწორი კვება, ხილ-ბოსტნეულით და კალციუმით მდიდარი საკვების მიღება, რაციონში წითელი ხორცის და ნახევარფაბრიკატების მიღების შეზღუდვა. ასევე, მნიშვნელოვანია სტრესისგან გათავისუფლება. ქალბატონებო, დრო დაუთმეთ დასვენებას, დაიცავით ორგანიზმი ზედმეტი შრომისგან და გადაძაბვისგან. გისურვებთ ჯანმრთელობას, - გვითხრა მზია ხალვაშმა.

„ვარდისფერი ოქტომბრის" კამპანიას აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო არაერთი აქტივობით შეუერთდა. გაზეთ „აჭარასთან" მინისტრმა **ნინო ნიჟარაძემ** აღნიშნული კამპანიის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

- ოქტომბერი ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო თვეა. აჭარა კამპანიას - „ვარდისფერი ოქტომბერი" წელსაც შეუერთდა. დაგეგმილია სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიის ჩატარება და ქალების სკრინინგში ჩართვის ხელშეწყობა. ქვეყნის მასშტაბით, მკერდის კიბოს სკრინინგი უფასოა, მოვუწოდებ ყველა ქალს, დროულად ჩაიტაროს კვლევა, რათა თავიდან ავიცილოთ შემდგომი გართულებები. მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში ძუძუს კიბოთი ავადობა პირველ ადგილზეა, ჩვენს ქვეყანაში კი კიბოს დიაგნოზს შორის 30%-ს შეადგენს. ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს სახელმწიფო პროგრამა, რომელიც საკმაოდ მაღალი პროცენტით ფარავს დიაგნოსტიკას და მკურნალობის ხარჯებს. ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტით, აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო 2 300 000 ლარის ფარგლებში დამატებით უზრუნველყოფს ამ პაციენტთა როგორც ქირურგიულ, ისე ძვირად ღირებულ მედიკამენტურ მკურნალობას. სამინისტრო, ასევე, აფინანსებს მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევებს. აღნიშნული მიმართულებით დაფინანსება ყოველწლიურად მზარდია, - აღნიშნა აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ.

დაბოლოს, აღვნიშნავ, რომ ბათუმის რამდენიმე კლინიკაში, ორი კვირის განმავლობაში, სხვადასხვა ასაკის ქალებისთვის ძუძუს კიბოს, საშვილოსნოს ყელისა და მსხვილი ნაწლავის სკრინინგი სრულიად უფასოდ ჩაუტარდებათ, კერძოდ:

25 - 30 წლამდე ჩათვლით - ძუძუს კიბოს სკრინინგი (ელასტოგრაფია),

30 - 40 წლის ჩათვლით - ძუძუს კიბოს სკრინინგი, ბათუმის საერთაშორისო ჰოსპიტალი (BAU) - პ. ბაგრატიონის ქ. №143, 0422 21 33 33; ევექსის ჰოსპიტლები - ბათუმის რეფერალური საავადმყოფო - მის: პ. ბაგრატიონის ქ. № 125, 032 260 06 00

ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრი „მედინა" - ფ. ხალვაშის გამზირი №237, 0422 25 85 13;

მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი „მედცენტრი" - ა. პუშკინის №118, 0422 22 60 60.

პრობლემა

# მოგონილი ისტორიები ლტოლვილის სტატუსის მისაღებად

ფიქრია დავლაძე 579 25 25 72

დაბალი ანაზღაურება, არასასურველი სამუშაო გრაფიკი, შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტები - ეს არასრული ჩამონათვალია იმისა, რასაც საქართველოში დასაქმებული ადამიანი აწყდება. ამ პრობლემებზე, ძირითადად, კერძო სექტორში მომუშავე პირები საუბრობენ, ამბობენ, რომ არაადამიანურ სამუშაო პირობებთან ერთად, ბულინგის მსხვერპლნიც ხშირად გამხდარან. მათივე თქმით, სწორედ ესაა მიზეზი, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს ყოველდღიურად ასობით მოქალაქე ტოვებს. ფაქტს საზღვრებზე დაუსრულებელი რიგებიც მოწმობს. ქართველები, ძირითადად, გერმანიას, პოლონეთსა და საფრანგეთს აფარებენ თავს. ისინი ცხოვრების კარგი პირობების საძიებლად ლტოლვილებად ბარდებიან.

გაერთიანებული ერების „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ" კონვენციის მიხედვით, ლტოლვილის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს პირს, ვისაც აქვს საფუძვლიანი შიში, რომ შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი, რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, გარკვეული სოციალური ჯგუფებისადმი კუთვნილების ან შეხედულებების გამო და არ შეუძლია, ან არ სურს, ამგვარი შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავის ქვეყანაში, ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით. თავშესაფრის სისტემით ბოროტად სარგებლობის შემთხვევათა შემცირებისათვის ევროკავშირის ქვეყნები ცდილობენ, უფრო შემჭიდროებულ ვადებში განიხილონ მიღებული განცხადებები და შეამცირონ სტატუსის მინიჭებისთვის საჭირო პროცედურების დრო. იმის გამო, რომ საქართველოს მოქალაქეებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია თავშესაფრის სისტემის მიზანსა და მოთხოვნებზე, მათი განცხადებები სტატუსის მინიჭების თაობაზე ხშირ შემთხვევებში არ შეესაბამება რეგულაციებით დადგენილ ნორმებს. რა გზას გადიან ლტოლვილის სასურველი სტ-



ატუსის მიღებამდე და შემდეგ ქართველები ევროპაში?! - ამ თემაზე გერმანიაში მყოფი ქართველი თეო გიორგაძე გვესაუბრა. იგი სამი წელია გერმანიაში ოჯახთან ერთად ცხოვრობს. საზღვარგარეთ უსახსრობის გამო წავიდა, იპოთეკური სესხი ბანკიდან დედამთილ-მამამთილის ჯანმრთელობის პრობლემების მოსაგვარებლად აიღო, თუმცა ვალის დაბრუნება ვერ შეძლო. ერთადერთი საცხოვრებელი რომ არ დაეკარგათ, მეუღლესთან ერთად, ახლობლის რჩევით, სამი წლის წინ გაემგზავრა.

თეო გიორგაძე: - ძალიან მიჭირდა, ბანკის ვალის გარდა, მქონდა წვრილ-წვრილი ვალებიც, რომლის გადახდაც შეუძლებელი იყო ანაზღაურებით, რასაც საქართველოში გვიხდიდნენ. ჩემი მეუღლე მუშაობდა, მეც ვმუშაობდი, მაგრამ კომუნალურ გადასახადებს ვიხდიდით, მშობლებს მუდმივად სჭირდებოდათ მკურნალობა, მედიკამენტები. მოგეხსენებათ, ყველაფერი უფასო არ არის. ამას დაემატა ის პრობლემა, რომ ბავშვი არ გვიჩნდებოდა. ექიმის თქმით, ჩემს მეუღლეს სჭირდებოდა რამდენიმე ოპერაცია, მხოლოდ ამის შემდეგ მოგვეცემოდა დიდი შანსი, რომ პატარა შეგვძინებოდა. სხვა გზას ვერ ვხედავდი, ამიტომ წავედით, რამდენი ხნით, არ ვიცოდით. მხოლოდ იმაში ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩემს ერთადერთ ოცნებას - მყოლოდა შვილი, აუცილებლად ავიხდენდი. წასასვლელად, რა თქმა უნდა, საბუთები წესრიგში უნდა გვქონოდა. ჩამოვედი გერმანიაში, სადაც ჩემნაირად ბევრი ქართველი იყო ჩამოსული, მათ სხვადასხვა ისტორიები ჰქონდათ. ისტორია ზოგი ნამდვილი იყო, ზოგი კი მოგონილი. მათ ვისაც ლტოლვილად ჩაბარება უნდოდა, სპეციალურ პუნქტებში თავსდებოდნენ, ეს პუნქტები მიუნხენში, ბერლინსა და ზინდროფში მდებარეობს. ეს ის ძირითადი ქალაქებია, სადაც ლტოლვილად ბარდებიან. თავიდან ერთი თვის განმავლობაში საერთო საცხოვრებელში ვიცხოვრეთ, იქ ქართველებთან ერთად სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულებიც იყვნენ. საერთო საცხოვრებელს მაძიებელი ჰქვია. იქ მყოფებს უფასო ადვოკატი ემსახურება, რომელიც საბუთებს აგროვებს, შეაქვს სასამართლოში, რათა კონკრეტული პირის საქმე განიხილონ. ამ ერთი თვის განმავლობაში სამედიცინო მომსახურება, სამჯერადი კვება უფასოა. მიუხედავად ამისა, ძალიან რთული აღმოჩნდა იქ ცხოვრება. არადა, სხვაგვარად გვეუბნებოდნენ ემიგრაციაში მყოფები. წარმოიდგინეთ, დილის 7 საათზე უნდა ადგე, სამედიცინო შემოწმება გაიარო, თავშესაფრიდან სამედიცინო დაწესებულებაში უნდა წაგიყვანონ, სანამ შენი რიგი მოვა, ზოგჯერ 4 საათიც გიწევს ლოდინი, საშინელებაა თუ პატარასთან ერთად ხარ და ამ ყველაფრის გადატანა ბავშვსაც უწევს. ჩემთან ერთად უამრავი ჩვილბავშვიანი ქართველი იყო, რომლებმაც ურთულესი გზა გაიარეს. მე გამოსავალი არ მქონდა, გავუძელი, თორემ ჩემს ქვეყანაში ყოფნას არაფერი მერჩივნა. ადვოკატი თუ გულისხმიერი და ყურადღებიანია, ერთ თვეში უფასო ბინას მოგაკუთვნებენ. გააჩნია, რა გსურს - დროებით დარჩენა თუ სამუდამოდ. მე და მეუღლემ დროებითზე მოვაწერეთ ხელი, სამი წელი უფასო საცხოვრებელი მოგვცეს, ყოველთვიურად კი თითოეულს 300 ევრო დაგვინიშნეს დახმარების სახით. ორივეს გვქონდა 600 ევრო და უფასო საცხოვრებელი, საკვები და ტანსაცმელი კი ჩვენ უნდა შეგვეძინა. საცხოვრებელ ადგილს და ქალაქს შენ ვერ აირჩევ, სადაც გაგიშვებენ, იქ უნდა იცხოვრო, მათ პირობებს დათანხმდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ლტოლვილის სტატუსს ვერ მიიღებ. ყოფილა შემთხვევები, როდესაც თავშესაფარში მყოფები უკაცრიელ და აუთვისებელ ტერიტორიებზე დაუსახლებიათ, სადაც ახლოს არაა მაღაზიები, სკოლები, ბაღები. შორ მანძილზე უწევთ გადაადგილება სასურველ დაწესებულებაში მოსახვედრად. მოკლედ, მინდა ვთქვა, ეს სამი წელი გაცილებით გაუსაძლისი იყო ვიდრე საქართველოში ყოფნა. ჩვენთან სულ ოდნავ რომ გაუმჯობესდეს სიტუაცია, არსად წასვლა არ ღირს. თუ ჯანმრთელი და შრომისმოყვარე ხარ, ადგილზეც ნახავ მცირედს, რომ თავი ირჩინო. სხვა საჭიროებებისთვის კი მართლაც, ნორმალური სამსახურებია საჭირო. თეოს მსგავსად გერმანიის ქალაქ მიუნხენში იმყოფება ბათუმელი სალიტა ღლონტიც, რომელიც საქართველოდან 5



თვის ჩვილთან ერთად ჩავიდა. ახალგაზრდა ქალი გვიყვება, რომ საქართველოდან პატარასთან ერთად ჯერ პოლონეთში ჩაფრინდა, სადაც

იხ. მე-8 გვ.

# „სწორი არჩევანი გავაკეთე“

*შუახევში გამართული მთიანი აჭარის სკოლების დირექტორებისა და ადმინისტრაციის წევრების პირველ მუნიციპალურ კონფერენციაზე საინტერესო მოხსენება წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ძენწმანის საჯარო სკოლის ინკლუზიური სწავლების სპეცმასწავლებელმა, ისტორიკოსმა* ***სოფიო ლომინაძემ.*** *იგი ჩვენი გაზეთის სტუმარია.*



**- ქალბატონო სოფიო, რა გზა გამოიარეთ, წარმატებული მასწავლებლის სახელი რომ მოგეპოვებინათ?**

- გარკვეული წლების განმავლობაში ვმუშაობდი დაწყებითი კლასების მასწავლებლად. ვაკვირდებოდი გამოცდილ პედაგოგებს და ვცდილობდი, გამეზიარებინა მათი გამოცდილება. განსაკუთრებით დიდი მოტივაცია და გამბედაობა მომცა მეუღლის დედამ, ქალბატონმა ფატი მამუჭაძემ, რომელიც საუკეთესო მასწავლებელი და აღმზრდელია დღესაც. რამდენიმე წელია, ვმუშაობ სსიპ „ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ძენწმანის საჯარო სკოლაში“ სპეციალურ მასწავლებლად, რომელიც ჩემთვის საინტერესო და საყვარელ საქმიანობად იქცა. მიწევს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა. საკუთარ თავთან დაუღალავმა მუშაობამ, ტრენინგებიდან მიღებულმა ცოდნამ, პროექტებში მონაწილეობამ, სკოლის პედაგოგებისა და დირექტორის, ქალბატონ ცირა აბულაძის მხარდაჭერამ დამიგროვა გამოცდილება, გამბედაობა და ჩამომიყალიბა საჭირო უნარ-ჩვევები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობისთვის.

**- სპეციალობით ისტორიკოსმა როგორ შეითავსეთ სპეცმასწავლებლის სტატუსი?**

- როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვმუშაობდი დაწყებითი კლასის პედაგოგად და შეხება მქონდა შშმ პირ მოსწავლესთან, სწორედ ამან განაპირობა ჩემი დაინტერესება. გავეცანი ინკლუზიურ განათლებას და შევისწავლე სხვადასხვა დარღვევა. როგორც მასწავლებელი, აქტიურად ვიყავი ჩართული მოსწავლის სწავლებისა და აღზრდის პროცესში, ვცდილობდი, სასწავლო პროცესი გამეხადა საინტერესო. ამ მხრივ დამიგროვდა გარკვეული გამოცდილება და გამიადვილდა მუშაობა სკოლაში სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან.

**- ძენწმანის საჯარო სკოლის გარდა, რომელი სკოლის პედაგოგებთან გიწევთ მუშაობა?**

- მართალია, მხოლოდ ძენწმანის საჯარო სკოლაში ვმუშაობ, მაგრამ კოლეგიალური ურთიერთობა მაქვს როგორც მუნიციპალიტეტის, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხის სპეციალურ მასწავლებლებთან. გვაქვს სხვადასხვა ჯგუფი ზუმის ონლაინპლატფორმაში, ვაწყობთ შეხვედრებსა და გამოცდილების გაზიარებას.

**- თქვენი მოხსენება „შემეცნებითი და აკადემიური უნარების განვითარება“ ვისთან მუშაობას ეხებოდა?**

- სპეციალური მასწავლებელი მუშაობს სსსმ მოსწავლეებთან შემეცნებითი და აკადემიური უნარების განვითარებაზე. სწორედ მას ეხებოდა ჩემი მოხსენება. მასში ასახულია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის შედეგად მიღებული გამოცდილების ამსახველი სურათი, სტრატეგიები, რომლითაც მივიღე სასურველი შედეგი.

**- წარმატებული პედაგოგი, ერთგული მეოჯახე, კარგი შვილების დედა დროს როგორ ანაწილებთ?**

- რა თქმა უნდა, ძალიან რთულია, მაგრამ ჩემთვის სკოლა მეორე ოჯახია. შრომისადმი სიყვარული და ოჯახის წევრების გვერდით დგომა მაძლიერებს, მაძლევს სტიმულს, რათა მოვერგო თითოეულ როლს. დროის სწორად გადანაწილებით ვცდილობ, ვიყო კარგი დედა, მეუღლე, შვილი და წარმატებული მასწავლებელი.

**- სპეციალობა, ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობა, საფუძველს გაძლევთ შეაფასოთ ის ვითარება, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომს ეხება...**

- რთულია გულგრილად უყურო რუსეთ-უკრაინის ომს, რომელსაც უდანაშაულო მოსახლეობა ემსხვერპლა და ეს ვითარება კიდევ გრძელდება. ჩვენ ეს პროცესები საკუთარ თავზეც ვიწვნიეთ, ამიტომ ჩემზე განსაკუთრებულად იმოქმედა იმ მოსწავლეების დანახვამ, რომლებიც უკრაინის ტერიტორიიდან არიან. ამ ბავშვებში დავინახე შიში, რომლებსაც სჭირდებოდათ ფსიქოლოგიური თანადგომა, შევუქმენით მშვიდი გარემო სოფელ ძენწმანის საჯარო სკოლაში. ამ პროცესში ყველა ჩავერთეთ, დირექცია, ადმინისტრაცია, პედაგოგები და სკოლის მოსწავლეები.

**- რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ახალბედა მასწავლებელი იყავით. როგორ მიგაქვთ მოსწავლეებამდე საკუთარი თვალით ნახული და განცდილი?**

- მძიმედ მახსენდება 2008 წლის აგვისტოს ომი, რომლის შედეგადაც საქართველომ ძალიან დიდი დანაკლისი განიცადა. დავკარგეთ ტერიტორიები, ადამიანური რესურსი და განვიცადეთ ეკონომიკური ზარალი. როგორც მოგეხსენებათ, ჩემი ძირითადი პროფესიით ამ ეტაპზე არ ვმუშაობ, როდესაც მომეცემა საშუალება, ვეცდები, დაინტერესების შემთხვევაში, უფრო მეტი ინფორმაცია მივაწოდო ჩემს მოსწავლეებს საქართველოსთვის ამა თუ იმ მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტების შესახებ.

**- რატომ აირჩიეთ ისტორიკოსის სპეციალობა?**

- ბავშვობიდან მომწონდა მასწავლებლობა, სხვა პროფესიაზე არც კი მიფიქრია. ჩემში ისტორიისადმი სიყვარული გამოიწვია ამ საგნის მასწავლებელმა, ქალბატონმა ჟუჟუნა შარაბიძემ. აგრეთვე დავინტერესდი არქეოლოგიით, ხშირად ვმონაწილეობდი ექსპედიციებში. როცა ჩემი მომავალი პროფესიის არჩევის დრო დადგა, გადავწყვიტე, ისტორიის ფაკულტეტზე ჩამებარებინა და უფრო ღრმად შემესწავლა სამშობლოს მდიდარი წარსული.

> ***„ბავშვობიდან მომწონდა მასწავლებლობა, სხვა პროფესიაზე არც კი მიფიქრია. ჩემში ისტორიისადმი სიყვარული გამოიწვია ამ საგნის მასწავლებელმა, ქალბატონმა ჟუჟუნა შარაბიძემ. აგრეთვე დავინტერესდი არქეოლოგიით, ხშირად ვმონაწილეობდი ექსპედიციებში. როცა ჩემი მომავალი პროფესიის არჩევის დრო დადგა, გადავწყვიტე, ისტორიის ფაკულტეტზე ჩამებარებინა და უფრო ღრმად შემესწავლა სამშობლოს მდიდარი წარსული***

**- სათაყვანებელ პედაგოგად ვინ მიგაჩნდათ?**

- პირველ რიგში, ჩემი სკოლის მასწავლებლები. თითოეული პედაგოგის შრომა დასაფასებელია, ისინი ზრდიან განათლებულ თაობას... გამოყოფა გამიჭირდება. არ მინდა, ვინმე გამომრჩეს, რადგან ყველა მათგანს დიდ პატივს ვცემ.

**- ლექტორი, ვისი ლექციის მოსმენას ახლაც ისურვებდით?**

- ბატონი ამირან კახიძე - არქეოლოგი, რომელიც აქტიური მონაწილე და აღმომჩენი იყო უძველესი ნასახლარებისა. ის პარალელებს ავლებდა უძველესსა და ახალ, საკუთარ აღმოჩენებს შორის. საინტერესო და შთამბეჭდავი იყო მისი მონათხრობი.

**- შვილები პროფესიის არჩევანის ზღვარზე არიან, დედის თუ მამის პროფესიას ირჩევენ?**

- შვილებთან მომავალი პროფესიის არჩევის საკითხზე საკმაოდ ხშირად ვსაუბრობ, ვცდილობთ, გავარკვიოთ ამა თუ იმ პროფესიის უარყოფითი და დადებითი მხარეები, რადგან ახლა მიღებული გადაწყვეტილება მათ მომავალს განსაზღვრავს და ჩემთვის მთავარია, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სრული თავისუფლება მივანიჭო. მნიშვნელოვანია, აირჩიონ ის პროფესია, რომელიც ეყვარებათ.

**- შვილები დედის რჩევებს რამდენად ითვალისწინებენ?**

- ჩვენ მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, რა თქმა უნდა, ვაძლევ რჩევებს და ერთმანეთის აზრს პატივს ვცემთ.

**- ბოლოს რა წაიკითხეთ?**

- დათო ტურაშვილის „ლეგენდები დავით აღმაშენებელზე“.

**- თანამედროვე, ცნობილ ისტორიკოსებთან რა ურთიერთობები გაქვთ?**

- ახლანდელი საქმიანობიდან გამომდინარე, შეხება მაქვს მხოლოდ ინკლუზიური განათლების სფეროს წარმომადგენლებთან.

**- მასწავლებელთა ნაწილი მთის სკოლებს ტოვებს, თქვენ კი ქალაქიდან სოფელში წახვედით...**

- როცა ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ძენწმანში გამოცხადდა ვაკანსია სპეციალური მასწავლებლის თანამდებობაზე, ვმუშაობდი ბათუმის კერძო სკოლაში დაწყებითი კლასის პედაგოგად. გადავწყვიტე, მიმეღო ახალი გამოწვევა და თავი მეცადა სპეციალური მასწავლებლის როლში, მაინტერესებდა, რამდენად გამომივიდოდა სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა. გათავისებული მქონდა გამოწვევები, თუმცა მინდოდა საკუთარი თავი გამომეცადა, რამდენად შევძლებდი მათთან მუშაობას. სსსმ ბავშვთან ურთიერთობა მოითხოვს დიდ მოთმინებას, უნდა შეძლო მათი ნდობის მოპოვება, ნდობას, რომ მოსწავლემ თავი იგრძნოს მშვიდად, ჩაერთოს სხვადასხვა აქტივობაში, სოფელ ძენწმანის სკოლაში დამხვდა ძალიან თბილი და მეგობრული გარემო, რამაც საბოლოოდ დამარწმუნა, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე.

# ახალი ლოკაცია

ხულოს მუნიციპალიტეტს ტურისტული ობიექტები არ აკლია. ამ დღეებში მათ კიდევ ერთი შეემატა - სოფელ ჩაოში, „კოტაჯვარზე“ გადასახედი მოეწყო, საიდანაც სხალთის ხეობისა და ხულოს ცენტრის მიმართულებით თვალწარმტაცი ხედები იშლება.

საზეიმო გახსნას ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ფრიდონ ფუტკარაძე, ხულოს საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ.

- ხულოში კიდევ ერთი ახალი ტურისტული ობიექტის გაჩენა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციას და დამატებით ეკონომიკურ სარგებლს მოუტანს ადგილობრივ მოსახლეობას, - გვითხრა ვახტანგ ბერიძემ.



# ხალხის ინტერესებზე მორგებული

ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე მირიან ქათამაძე, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები და საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ინიციატივით სოფლად მოსახლეობასთან შეხვედრების ფარგლებში წონიარისის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას შეხვდა.

შეხვედრაზე სამინისტროს წარმომადგენლებმა მოსახლეობას სამინისტროს პროგრამების, პროექტებისა და დაგეგმილი სიახლეების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია. ადგილზე მოისმინეს სოფლის პრობლემები და შესაბამისი უწყებების ჩართულობით იმსჯელეს მათი მოგვარების გზებზე.

ქედაში აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძის ინიციატივით სოფლად მცხოვრებ მოსახლეობასთან შეხვედრები კვლავ გაგრძელდება, რომლის მიზანია მათი საჭიროებების ადგილზე გაცნობა და მოგვარების გზებზე ერთობლივი მსჯელობა.



# საინფორმაციო სემინარი – ქედაში

„ქალთა ფონდი საქართველოში“ და ქალთა ოთახების გაერთიანება, სოფლად მცხოვრები ქალებისათვის საინფორმაციო სემინარებს აწყობენ. ამჯერად ისინი ქედაში იმყოფებოდნენ.

სემინარის მიზანია სოფლად მცხოვრები ქალების გააქტიურება, ინფორმირება და სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა.

- პროექტის ფარგლებში სოფლად ქალების მობილიზებით, სხვადასხვა საკითხზე მსჯელობით შესაძლებელი გახდება სოფლად მცხოვრები ქალების გააქტიურება, პრობლემატური საკითხების წინ წამოწევა და შემდგომ მოგვარებისკენ საჭირო ნაბიჯების გადადგმა.

სოფლებში შეიქმნება ქალთა არაფორმალური სადისკუსიო სივრცეები, რომლებიც ქალთა ოთახების და მისი სამიზნე ბენეფიციარების გაძლიერებისკენ იქნება ორიენტირებული, - აცხადებენ სემინარების ორგანიზატორები.



სადისკუსიო პლატფორმის წევრები პერიფერიულ სოფლებში შეხვედრებს გამართავენ.

**გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ**

# მზე საქართველოდან უნათებს

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*22 სექტემბერს დიდხანს ვერ დაივიწყებენ ნიუ-იორკის ყველაზე დიდ რაიონ ბრუკლინის მკვიდრნი - ამ დღეს, მერის ორგანიზებით, გაიმართა დიდი დღესასწაული, რომელიც ქართველთა და ამერიკელთა მეგობრობას მიეძღვნა. მერიის თავზე ქართული დროშა ფრიალებდა. ცნობილმა ქართველმა მხატვარმა ლელა ქართველიშვილმა ბრუკლინის მერს თავისი ნახატი „მეგობრობა" აჩუქა*

*ქალბატონი ლელა წლებია, ამერიკაში ცხოვრობს და საქმიანობით გამოირჩევა. რაოდენ სასიხარულოა, რომ თავისი ერის საუკეთესო თვისებებს წარმოაჩენს. ალექსანდრე ქართველიშვილის საერთაშორისო საზოგადოების დამფუძნებელი და პრეზიდენტი, ქართულ-მერიკული ფორუმის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, დინასტიური ა(ა)იპ „მამუკა ბაგრატიონის" ფონდის ვიცე-პრეზიდენტი მრავალმხრივი ინტერესებითა და ნიჭიერებით, საზოგადო მოღვაწეობით არა მარტო ქართველთათვის, არამედ თავად ამერიკელებისთვისაც საყურადღებო პიროვნებაა და ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა ბრუკლინის დღესასწაულზე. თავად ფაქტი, რომ აშშ-ის უდიდესი ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ რაიონში ქართველებთან მეგობრობას ასეთი პომპეზური დღესასწაულით აღნიშნავენ, შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე და გადავწყვიტეთ, მასზე უფრო დაწვრილებით ქალბატონ ლელასგან შეგვეტყო.*

- 22 სექტემბერს ბრუკლინში გაიმართა ქართულ-ამერიკული მემკვიდრეობის დღესასწაული. ეს დღე 2019 წელს ნიუ-იორკის მერმა ერიკ ადამსმა და „დიანა ბაგრატიონის ფონდის" დამფუძნებელმა და ხელმძღვანელმა დიანა ბაგრატიონმა შემოიღეს. წლევანდელი ზეიმი თავისი მასშტაბით გამორჩეული იყო, პანდემიის შემდეგ პირველად ჩატარდა ასეთი გრანდიოზული ღონისძიება, რომელსაც დიდი სიყვარულით უმასპინძლა ბრუკლინის მერიის ადმინისტრაციამ და რაც ყველაზე ამაღლვებულია, ამ დღის აღსანიშნავად ბრუკლინის მერიის თავზე ქართული დროშა ფრიალებდა. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ბრუკლინის მერმა ანტონიო რეინოზომ, ქართული დიასპორის კომიტეტის თავმჯდომარე ბექა ოდიშარიამ, ნიუ-იორკის საკრებულოს დეპუტატმა არი ჯეგანმა და ქალბატონმა დიანა ბაგრატიონმა. დაუვიწყარი წუთები იყო ყველა ჩვენგანისთვის, როცა ბატონმა ანტონიო რეინოზომ ქართული დიასპორის წარმომადგენლებს და ქართველ ხალხს მადლობა გადაუხადა კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. ისაუბრა იმ შთაბეჭდილებებზე, რაც მას ქართული კულტურის გაცნობის შემდეგ შეექმნა. ბატონმა ანტონიომ ამერიკაში მცხოვრები წარმატებული ქართველი ემიგრანტები დააჯილდოვა. საქართველოს და ამერიკის სახელმწიფო ჰიმნები ცნობილმა მომღერალმა ნინი შერმადინმა შეასრულა, ასევე შესრულდა ქართული ცეკვები.

**- ამ დღესასწაულზე თქვენც ძალიან შთამბეჭდავად თქვით სათქმელი...**

- ალბათ ჩემი ნახატის ჩუქებას გულისხმობთ. დიახ, ამ დღეს ბრუკლინის მერს, ბატონ ანტონიო რეინოზოს მეგობრობის ნიშნად ჩემი ნახატი „მეგობრობა" გადავეცი, რომლის დასათაურებაში დიანა ბაგრატიონიც მონაწილეობდა.

**- ეს ნახატი იმთავითვე მოექცა დამსწრეთა და პრესის ყურადღების არეალში...**

- ალბათ იმიტომ, რომ ჩემმა ჩანაფიქრმა მიზანს მიაღწია, საზოგადოებამ გაითავისა ნახატის სიმბოლური გააზრება, აშშ-სა და საქართველოს სიმბოლო ქანდაკებებს „თავისუფლებასა" და „ქართლის დედას" ნახატში ალექსანდრე ქართველიშვილის მიერ შექმნილი ლეგენდარული თვითმფრინავი p-47 აერთიანებს.

**- ბრუკლინის დღესასწაულში მრავალი წარმატებული ქართველი ემიგრანტი მონაწილეობდაო, ბრძანეთ...**

- დიახ, ღონისძიებაში ქართული დიასპორის თვალსაჩინო წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, ცნობილი პროდიუსერი დიმიტრი მანუელი (ჩხეიძე), ნიკოლოზ ჩხეიძე, ინა ისანიძე, ირინა ხუცურაული, შორენა ბარბაქაძე... წარმატებული ემიგრანტები მერაბ კრისელი, გრიგოლ ადეიშვილი და ალექსანდრე თორელი მერმა დააჯილდოვა.

**- როგორც ვიცით, ახლახან მანჰეტენზე გამართულ მხატვართა გამოფენაშიც მონაწილეობდით.**

- დიახ, 3-9 ოქტომბერს მანჰეტენზე „ტრიბეკაში" გაიმართა ქართველი მხატვრების გამოფენა, სადაც ჩემი ნახატებიც იყო წარმოდგენილი. მრავალმა დამთვალიერებელმა თავისი პოზიტიური შეხედულება გამოხატა, რაც, რა თქმა უნდა, მახარებს, მით უმეტეს, რომ სიურეალიზმის სტილით შექმნილი ნახატების აღქმა არცთუ იოლია შესრულების ტექნიკისა და ფილოსოფიურ-რელიგიური გააზრების გამო.

**- ყურადღების არეალში მოექცა წიგნიც - „ ქართველი ემიგრანტები ამერიკის შეერთებულ შტატებში". მის ყდაზე თქვენი ნახატია...**

- ესაა მეტად საინტერესო კრებული, რომელშიც იხილავთ ამერიკაში მცხოვრები ქართველი პოეტების, მხატვრების, მუსიკოსების, კულტურის მოღვაწეების შესახებ საყურადღებო წერილებს, თავად ავტორთა ნაწარმოებებს. წიგნი გამოიცა ქალბატონ მზია კანდელაკის ინიციატივით. მასალების შეგროვებასა და წიგნის გამოცემაში მეც ვმონაწილეობდი, წიგნში დაბეჭდილია ჩემი ლექსები: „ის აქ არის", „მზე საქართველოდან", „ერის ტკივილი", წიგნის გარეკანზე კი ჩემი ნახატია... ასე უფრო ვესათუთები ჩემს სამშობლოს, ჩემს საქართველოს.

**- ცხადია, გენატრებათ საქართველო...**

- ფიქრით მუდამ ჩემს ქვეყანასთან ვარ, საქმითაც ვცდილობ, ერთი აგური მეც დავდო მისი სიძლიერის საძირკველზე. ზაფხულში უთუოდ ჩამოვალ საქართველოში, ბათუმსაც ვეწვევი, ჩემი სტუდენტობის ქალაქს, გამორჩეულს თავისი სილამაზით, ადამიანებით. გამოფენასაც გავმართავ, ჩემს ახლობელ და შორეულ ადამიანებსაც მოვინახულებ, ვეტყვი მათ, რომ სწორედ მათმა და ქვეყნის სიყვარულმა შემაძლებინა ამერიკაში ქართული საქმე მეკეთებინა, რათა მუდამ მინათებს მზე საქართველოდან.



## უკრაინა

სამხედრო დახმარებისთვის რუსეთის ირანისადმი მიმართვა სამხედრო-პოლიტიკური გაკოტრების აღიარებაა - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ვიდეომიმართვაში განაცხადა. „ათწლეულები ისინი მილიარდობით დოლარს ხარჯავდნენ საკუთარ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში, შედეგად... დახრილი თავებით წავიდნენ თეირანში, რათა საკმაოდ მარტივი დრონები და რაკეტები მიეღოთ", - აღნიშნა მან. ზელენსკის თქმით, რუსეთს ირანის დახმარება სტრატეგიულად არაფერში დაეხმარება. „აუცილებლად უზრუნველვყოფთ ამაზე შესაბამის საერთაშორისო რეაქციას, თუმცა ახლა, ტაქტიკურ დონეზე, ირანული დრონების წყალობით, ტერორისტებს კიდევ შეიძლება უჩნდებოდეთ გარკვეული იმედები, რაღაც გათვლები, ახალი ილუზიები. ყველაფერი ეს დაიმსხვრევა ისევე, როგორც მათი წინასწარი გათვლები", - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

* * *

დროებით დაკავებულ ტერიტორიებზე. რუსი დამპყრობლები უკრაინის კულტურული მემკვიდრეობის განადგურებას აგრძელებენ. ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის გენერალური შტაბი ავრცელებს. „დამპყრობლები აგრძელებენ უკრაინის კულტურული მემკვიდრეობის განადგურებას დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ძარცვავენ მუზეუმებს და წვავენ უკრაინულ ენაზე დაბეჭდილ ლიტერატურას და სახელმძღვანელოებს", - აღნიშნულია გენშტაბის განცხადებაში. უკრაინული მედიის ცნობით, 2022 წლის სექტემბრის ბოლოს, კულტურისა და საინფორმაციო პოლიტიკის სამინისტრომ რუსეთის მიერ უკრაინის კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ ჩადენილი ომის დანაშაულის 500-ზე მეტი შემთხვევის დოკუმენტირება მოახდინა. უკრაინის კულტურის მინისტრ ალექსანდრე ტკაჩენკოს განცხადებით, მის ქვეყანაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრა სამოქალაქო ობიექტების, მათ შორის, კულტურული დაწესებულებების, ეკლესიების, მეჩეთების, თეატრების, მუზეუმებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სერიოზულ განადგურებას იწვევს. როგორც ადგილობრივი მედია წერს, უკრაინაში იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებიც კი განადგურების საფრთხის წინაშეა.

* * *

უკრაინის ეროვნული პოლიციის გამომძიებლებმა ოკუპანტებისგან გათავისუფლებულ ხარკოვის ოლქში რუსეთის მიერ ჩადენილი 1601 ომის დანაშაული დაარეგისტრირეს, - ინფორმაციას უკრაინული მედია ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს. მათივე ცნობით, დეოკუპაციის ღონისძიებების დაწყებიდან ეროვნული პოლიციის საგამოძიებო ნაწილებმა, სულ ომის 1601 დანაშაული დაარეგისტრირეს, რომელთაგან 1421 ომის კანონებისა და წესების დარღვევას ეხება, 154 კი კოლაბორაციონისტულ საქმიანობას. ამასთან, დეოკუპირებულ ტერიტორიაზე გრძელდება განაღმვითი სამუშაოები. კერძოდ, დეოკუპაციის ღონისძიებების დაწყებიდან ეროვნული პოლიციის თანამშრომლებმა დაახლოებით 23 474 ფეთქებადსაშიში ნივთი ამოიღეს, 2 271 კი გაანადგურეს.

* * *

ირანული „მოპედის" დრონების მასობრივი თავდასხმის პრობლემა ორ კვირაში მოგვარდება, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველმა ალექსეი არესტოვიჩმა განაცხადა. „უკრაინა მალე მიიღებს რამდენიმე ასეულ დრონების საწინააღმდეგო სადგურს, მანამდე კი მათ ჩვეულებრივი საშუალებებით ჩამოვაგდებთ", - განაცხადა არესტოვიჩმა. შეგახსენებთ: ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა გუშინ განაცხადა, რომ ალიანსი უკრაინას უახლოეს დღეებში დრონების საწინააღმდეგო სისტემებს გადასცემს.

* * *

მიკოლაივის რეგიონის გუბერნატორ ვიტალი კიმის ინფორმაციით, უკრაინულმა ძალებმა ღამით მიკოლაივში 13 „კამიკაძე-დრონი" ჩამოაგდეს. ამის შესახებ მან „ტელეგრამზე" დაწერა. როგორც გუბერნატორმა აღნიშნა, მტერმა თავდასხმა Shahed 136-ის „კამიკაძე-დრონებით" ორჯერ განახორციელა. მათგან 13 რეგიონის ტერიტორიაზე ჩამოაგდეს. უკრაინული მედიის ცნობით, 11 დრონი სამხრეთის საჰაერო სარდლობის საზენიტო თავდაცვის ძალებმა ჩამოაგდეს, ხოლო კიდევ ორი - უკრაინის ეროვნული გვარდიისა და უკრაინის სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის სამხედროებმა.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძემ**

**გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს.**
**ტელ: 27 48 93.**

**მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი**

**გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე**

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

**გამომცემელი** - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
**პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»**
**მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3**

**მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა**
**ტელ: 27-13-31**
**აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში**
**დასაბეჭდად ხელმოწერილია 19/10/22, 21 35 სთ.**

**დირექტორი მამუკა ბერიძე**

# მისი ცხოვრების ორი მთავარი საქმე – ხელოვნება და მასწავლებლობა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93



*23 წლის **თამარ სურგულაძე** ქედაში დაიბადა. დაამთავრა სოფელ დანდალოს №1 საჯარო სკოლა. ხელოვნებაზე უსაზღვროდ შეყვარებულმა გოგონამ ხატვისა და წერის ნიჭი სკოლის პერიოდში აღმოაჩინა. ლიტერატურულ კონკურსებშიც ხშირად მონაწილეობდა. როგორც თავად ამბობს, ხელსაქმე ბავშვობიდან იტაცებდა. სკოლის პერიოდში თოჯინებს, საახალწლო ნაძვის ხის სათამაშოებს ამზადებდა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე ჩაირიცხა. როგორც გაგვიმხილა, დაწყებითი კლასის მასწავლებლობა ბავშვების დიდმა სიყვარულმა და საკუთარი თავის რწმენამ აარჩევინა. ამჟამად აქტიურად მონაწილეობს არაფორმალური განათლების პროექტებში, კონფერენციებში, ტრენინგებსა და ვებინარებში. პარალელურად ხელნაკეთ ნივთებს ამზადებს, აქვს ხელნაკეთების სოციალური გვერდი და სამომავლოდ მრავალ პროექტში მონაწილეობასაც ფიქრობს.*

**- რას იტყვით თქვენს ოჯახსა და ბავშვობაზე?**

- ოჯახი რომ არა, ვერ ვიქნებოდი ძლიერი და მიზანდასახული ადამიანი. მას ჩემს წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვის. საინტერესო და მრავალფეროვანი ბავშვობა მქონდა. იმ პერიოდში გავიზარდე, როცა ბავშვები ეზოში დაჭერობანას, დამალობანას, კლასობანას, ფეხბურთსა და ბადმინტონს ვთამაშობდით. არ ვიყავი ტელეფონსა და კომპიუტერზე დამოკიდებული. მაშინ ნელ-ნელა ვითარდებოდა ტექნოლოგიები, ამიტომ წიგნებს სასიამოვნო დატვირთვა ჰქონდა. მიყვარდა ფურცლების შრიალი და წიგნების სუნის შეგრძნობა. რომელი ნაწყვეტიც მომეწონებოდა, იქ ყვავილებს ვაწყობდი. წლების შემდეგ წიგნი სასიამოვნო ელფერს იძენდა. ყველაზე მეტად ზამთრის პერიოდი მახსენდება... სოფელში დიდ თოვლს დებდა, ხშირად უშუქობაც იყო. მიყვარდა ფანჯარასთან თბილად მოკალათება და თოვლის ფანტელებზე ცქერა. წელიწადის დროებიდან დღემდე ზამთარი მიყვარს, რადგან ბევრი ტკბილი მოგონება მაკავშირებს ამ პერიოდში ოჯახთან, მეგობრებთან, ჩემს ულამაზეს სოფელთან და სკოლასთან. მახსოვს, დიდი თოვლის გამო ბავშვები გვირაბებს ვაკეთებდით და შიგნით თამაში მოგვწონდა. ყველაზე სასიამოვნო ის იყო, გაყინულ-შეციებულები თბილ ბუხარს რომ მივუსხდებოდით და სახალისო-საინტერესო ამბების მოყოლას ვიწყებდით.



**- სტუდენტობის წლები და პირველი წარმატება...**

- ჩემთვის სტუდენტობა და პირველი წარმატება მნიშვნელოვანი წინსვლა იყო. ეს პერიოდი სასურველი და საყვარელი სპეციალობის სწავლამ გაამრავალფეროვნა. სტუდენტობა სასწავლო საგნებისადმი დიდმა ინტერესმა, მონდომებამ, მეგობრულმა გარემომ გამიმარტივა. ამ პერიოდში ძალიან იზრდები და ვითარდები. ბევრ დაბრკოლებასთან გიწევს გამკლავება, ბოლოს კი იმდენად ძლიერდები, რომ შენთვის უმნიშვნელო ხდება დამაბრკოლებელი გარემოებები და ადვილად აღწევ ყველა იმ წარმატებას, რომელიც მიზნად გქონდა დასახული. სტუდენტურმა წლებმა დამიგროვა ისეთი გამოცდილება, რომ ჩემთვის მარტივია ახალ გარემოში თავის დამკვიდრება.

**- როდის დაინტერესდით ხელნაკეთი ნივთების დამზადებით და რატომ?**

- სტუდენტობის პერიოდში ხელოვნების სხვადასხვა დარგისადმი ჩემი მიდრეკილება აღმოვაჩინე. იდეა გამიჩნდა, რაიმე განსხვავებული დამემზადებინა, რომლის მსგავსი არაფერი იქნებოდა. პირველად ხელნაკეთი ჩანთა დავამზადე, რომელიც ჩემი იდეების მოზღვავების შედეგია და დიდი პოპულარობაც მოიპოვა. ერთი დარგით არასოდეს შემოვფარგლულვარ, რადგან მრავალფეროვნება მიყვარს. ყოველთვის ვცდილობ ახალ-ახალი დარგების შეცნობას. ხშირად ვმონაწილეობ უფასო პროექტებში და ჩემი პირველ წარმატებაც ერთ-ერთ პროექტს მოჰყვა. მას ერქვა „ფიროსმანის ოცნება“, რომლის ფარგლებშიც ხელოვნების მოყვარული ადამიანების მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენა მოეწყო. თავიდან ტრენინგები გვიტარდებოდა, შემდეგ კი სასურველ თემაზე ნაშრომები უნდა შეგვექმნა. ეს ჩემთვის დიდი წარმატება და მიღწევა იყო, რადგან წიგნი გამოიცა და ჩემი ნამუშევარიც დაიბეჭდა. არასდროს დამავიწყდება ის ემოციები, რაც მაშინ განვიცადე.

**- რა ნივთებს და აქსესუარებს ამზადებთ?**

- ისეთი ხელნაკეთების დამზადება მიყვარს, რომლის ყველა ნაწილის ავტორი მე ვიქნები. ჩემი გემოვნებითა და იდეებით მიყვარს ხელნაკეთების დამზადება. ყველა აქსესუარში დიდ შრომას და სიყვარულს ვდებ. თავდაპირველად ჩანთების დამზადება დავიწყე, შემდეგ ბროშების და თმის აქსესუარების. ბოლო ერთი წელია, სამოყვარულო დონეზე ხატვით დავინტერესდი და ამ პროცესით დიდ სიამოვნებას ვიღებ, მაგრამ ყველაზე მეტად სამკაულების დამზადება მიყვარს. ვფიქრობ, ეს უფრო კარგად გამომდის, თან ჩემი ყოველდღიურობის ნაწილი გახდა. ძალიან მიყვარს ბრდღვიალა და სადა მასალების შეძენა. თითოეულ ხელნაკეთს ალბათ ნახევარ საათს, ან უფრო ნაკლებს ვუთმობ. ყველა სამკაულს თავისი მომხმარებელი ჰყავს. უფრო მეტად პოპულარული ბრდღვიალა ყელსაბამები გახდა. მას ან სხვა აქსესუარს რომ ვამზადებ, რაღაცნაირად ბედნიერი ვარ, სიხარულის, კმაყოფილების, თავდაჯერებულობის განცდა მეუფლება. მიყვარს საყვარელი ადამიანებისთვის ჩემი დამზადებული სამკაულების ჩუქება, რადგან, ვფიქრობ, სხვას ისეთს ვერაფერს ვაჩუქებ, რაც ჩემს დიდ სიყვარულს გამოხატავს. ყველა ჩემი ნივთი გამორჩეულია, რადგან განსაკუთრებული ისტორიისა და სიყვარულის ნაწილია. დღეს ბევრი აწარმოებს ხელნაკეთ ნივთებს, მაგრამ მგონია, რომ ჩემი ხელნაკეთები ყველასგან განსხვავდება უბრალოებით, სინაზითა და სიბრდღვიალით. ერთი ხელნაკეთის შექმნაში დიდ ენერგიას, სიყვარულს და ემოციებს ვაქსოვ. ვფიქრობ, ჩემი ძალისხმევით შემიძლია წარმატების მიღწევა. შეიძლება ხელოვნების დარგების ფასიანი ვებინარები, ტრენინგები ვერ გავიარო, მაგრამ მონდომებით და თავდაჯერებულობით ყველაფერს შევძლებ. მთავარი რესურსებია.



**- კიდევ რითი ხართ დაკავებული, რა გიტაცებთ?**

- ბოლო პერიოდში ძერწვამ გამიტაცა. უნივერსიტეტში ძერწვას ვსწავლობ. ეს ჩემს განვითარებას უწყობს ხელს. მუდამ სიახლის ძიებაში ვარ, რადგან მინდა ბევრი ახალი რამ ვისწავლო და მაქსიმალურად განვავითარო ჩემი შესაძლებლობები. წერითაც ვარ გატაცებული, მაგრამ არასდროს მიცდია სხვებისთვის ჩემი შემოქმედების გაზიარებინა.

**- ძირითადად, რომელ მიმდინარეობაში ხატავთ?**

- სამოყვარულო დონეზე ვხატავ. ჩემეული ხედვა მაქვს. ფურცელზე გადამაქვს ის, რაც გონებაში წარმომიდგება. ცივი ფერების გამოყენება მიყვარს. რატომღაც ჩემი ნახატები არასდროს გამოხატავს სიმშვიდეს. უფრო ღამის პეიზაჟების ხატვა მიყვარს, თუმცა იშვიათად ვხატავ, რადგან სხვა დარგებით ვარ დაკავებული.



**- ხომ არ გიფიქრიათ თქვენი საქმიანობა შემოსავლის წყაროდ გექციათ?**

- ბოლო ერთი წელია, ვცდილობ შემოსავლის წყაროდ ვაქციო. ვაქტიურობ ქართულ ჯგუფებში, ხელნაკეთი ნივთების დიდი ნაწილი გავყიდე. განსაკუთრებით მოთხოვნადია სამკაულები. დიდი სურვილი მაქვს, ბევრმა ადამიანმა ატაროს ჩემი ხელნაკეთები, რადგან ჩემთვის დიდი სიამოვნებაა, როცა სხვა ადამიანებზე ჩემს შემოქმედებას ვხედავ.

**- როგორ გარემოში მუშაობთ ყველაზე კომფორტულად?**

- მუშაობა მშვიდ გარემოში მუსიკის ფონზე მიყვარს. უფრო ღამის პერიოდში, დაბალ შუქზე მიყვარს მუშაობა. ასევე ამინდიც დიდ როლს თამაშობს. წვიმიან ამინდში სულ მინდა ხელნაკეთებზე ვიმუშაო, რადგან როცა წვიმის წვეთების ხმა მესმის, თავს უფრო მშვიდად ვგრძნობ.

**- კიდევ რომელ პროფესიას დაუკავშირებდით თქვენს ცხოვრებას?**

- მასწავლებლობა ჩემთვის განსაკუთრებული პროფესიაა. ჩემი შემოქმედებითობა ხელს შეუწყობს, უფრო მრავალფეროვანი მეთოდები და აქტივობები შევიტანო კლასში. ყოველთვის მჭიდროდ დაკავშირებული ვიქნები ხელოვნებასა და მასწავლებლის პროფესიასთან. ალბათ ამ ორის გარეშე ვერ ვიცოცხლებ, იმდენად მიყვარს.

**- სოციალურ ქსელში რამდენად აქტიური ხართ?**

- ვცდილობ აქტიური ვიყო სოციალურ ქსელებში, მაგრამ ქართველი საზოგადოებისგან ნაკლებ შეფასებას ვიღებ. უცხოელი აუდიტორიისგან უფრო მეტ უკუკავშირს და შეფასებებს ვიმსახურებ.

**- სამომავლოდ რას გეგმავთ?**

- დიდი გეგმები მაქვს. მსურს, რაც შეიძლება ბევრ პროექტში მივიღო მონაწილეობა, ჩემი ხელნაკეთი ნივთები საზოგადოების დიდმა ნაწილმა გაიცნოს. გამოფენებში მონაწილეობის მიღების დიდი სურვილიც მაქვს. სულ ვცდილობ ფეხის მოკიდებას და არ მინდა უშედეგო იყოს ჩემი ყოველი მცდელობა. მასწავლებლის სტატუსის ღირსეულად ტარების გარდა, ჩემი მიზანია, განვავითარო ჩემი პროდუქციის ბიზნესი, უფრო განვვითარდე და დავხვეწო შესაძლებლობები. ყოველთვის მსურს, შემოქმედებით სფეროში, გამოცდილი, გამოუცდელი, მოყვარული, ან პროფესიონალი ადამიანებისგან ბევრი ახალი რამ ვისწავლო და შევიმეცნო. მადლობა დაინტერესებისთვის, დიდი ემოციის, სიხარულისა და იმედის მონიჭებისთვის!

# მოგონილი ისტორიები ლტოლვილის სტატუსის მისაღებად

მე-5 გვერდიდან

მეუღლე ელოდებოდა, შემდეგ კი ტაქსით წავიდნენ გერმანიაში, ჩაბარდნენ თავშესაფარში და იქ დაიწყო მათი ახალი ისტორია. თეოსგან განსხვავებით, ოჯახს არანაირი გაჭირვება არ ჰქონია. საქართველოში ნორმალურ მცხოვრებლებად ითვლებოდნენ, თუმცა მეგობარმა ურჩია, ჩაბარებულიყვნენ ლტოლვილად და ყოველთვიურად 1500 ევრომდე ანაზღაურებას მიიღებდნენ, თანაც სახელმწიფო დაეხმარებოდა უფასო კვებითა და ტანსაცმლით. ამ იმედით ჩასულებს სხვა გარემოება დახვდათ. თითქმის ერთი წელია, რაც ბინის მიღების მოლოდინში არიან. მოიფიქრეს ისტორია, რაც მათი აზრით დაეხმარებოდათ მალე მიეღოთ სტატუსი, თუმცა ასე არ მოხდა. უფასო ადვოკატმა საქმე იმაზე მეტად გააჭიანურა, ვიდრე ელოდნენ. იძულებულები გახდნენ, მშობლებისთვის ეთხოვათ თანხის გაგზავნა, რათა ადვოკატისთვის ფული გადაეხადათ.

**სალიტა ღლონტი:** - ბევრჯერ ვინანე, რატომ წამოვედი და ჩემი პატარა რატომ გავაწვალე. მეგონა, მაქსიმუმ ორ თვეში მორჩებოდა ყველა პროცედურა და ჩვეულებრივად დავბინავდებოდით. მოვიფიქრე ისტორია, თითქოს მკურნალობა მესაჭიროებოდა და პატარას ვერსად ვტოვებდი, ამიტომ იძულებული გავხდი, ოჯახით წამოვსულიყავი გერმანიაში და თავშესაფარი მეთხოვა. ბავშვი ვერ შეეგუა აქაურ კლიმატს, პირობებს. ჩემი ქმარი ცოტა ფული რომ ეშოვა, ჩუმად გადიოდა შავ სამუშაოზე, ხან ავტომობილებს რეცხავდა, ხან მაღაზიაში დამხმარედ დღიურად მუშაობდა. მოგეხსენებათ, აკრძალულია მუშაობა თუ ლტოლვილად ბარდები, მხოლოდ იმ დახმარებას უნდა დაკმაყოფილდე, რასაც სახელმწიფო გთავაზობს, თუმცა აქ ყველა ჩუმად, არალეგალურად მაინც მუშაობს. მეც ვალაგებდი ოფისებს, ბავშვს მეუღლეს ვუტოვებდი თავისუფალ დროს. ასე გავიტანეთ თავი. იმ პირველი ერთი თვის განმავლობაში უფასო კვება და სამედიცინო დახმარება გვქონდა, მაგრამ წამითაც რომ დააგვიანო, მერე არავინ შეგიშვებს სასადილოში და მომდევნო ჭამამდე რჩები მშიერი. ბავშვი პატარაა, არეული აქვს ძილის რეჟიმი, ამიტომ მარტო ვერ დავტოვებდით, ან მე ვრჩებოდი მშიერი, ან ჩემი ქმარი. ახლა ახლობელთან ვცხოვრობთ, რადგან ბინა ჯერ არ მოგვცეს. თავიდან ვაგროვებთ საბუთებს და ახალი ადვოკატიც ავიყვანეთ. უკან დაბრუნებაზეც ვფიქრობთ, მაგრამ იქნებ სიტუაცია გამოსწორდეს. ცოტა ხანს კიდევ დავიცდი და თუ სამსახურიც ვერ ვნახე და ლტოლვილის სტატუსიც არ მომაკუთვნეს, სხვა გამოსავალი არ მექნება, უნდა წამოვიდეთ საქართველოში.

ემიგრანტი ბათუმელები აღნიშნავენ იმასაც, რომ გერმანიაში ყოფნისას თავი უცხოდ არ უგრძვნიათ, ქუჩებში უამრავი ქართველია, შეხვდნენ ნაცნობებიც და ინტეგრირება არ გასჭირვებიათ. ნებისმიერი ადამიანი, სანამ ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მფარველობის მოთხოვნას გააგზავნის, მზად უნდა იყოს, იმ პრობლემებისთვის, რომლებზეც ჩვენი რესპონდენტები მოგვითხრობენ და თუ საზღვარგარეთ სტატუსის მიღებისთვის ბრძოლას გადაწყვეტენ, აუცილებელია ერთიან მიმღებ პუნქტში გაიარონ რეგისტრაცია. სრულყოფილი ანკეტის შესავსებად საჭიროა დამაკვალიანებელ ასოციაციასთან თანამშრომლობა. ასოციაციას თავშესაფრის მაძიებლებისთვის ადმინისტრაციულ საქმეებში დახმარება ევალება. დამხმარე ორგანიზაცია სტატუსის მიღების მსურველებს ავსებინებს ელექტრონულ ანკეტას იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ლტოლვილად ჩაბარება უნდათ. ამის შემდეგ დგინდება შეხვედრის თარიღი, ხდება გასაუბრება. სწორედ იმის გამო, რომ საქართველო უსაფრთხო ქვეყნების სიაშია, საქართველოს მოქალაქეები უმრავლეს შემთხვევაში მომდევნო ეტაპზე ვერ გადადიან. ანკეტის დაჩქარებული წესით განხილვის შემდეგ უარის შემთხვევაში პირმა უახლოესი ერთი თვის განმავლობაში ქვეყანა უნდა დატოვოს, ხოლო თუ პირი ლტოლვილის სტატუსის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, აგენტი იწყებს ინფორმაციის მოძიებას და გადამოწმებას. იკვლევს იმ მიზეზს, რამაც ადამიანი იძულებული გახადა, საქართველო დაეტოვებინა. მეორე ეტაპზე გადასვლის შემთხვევაში თავშესაფრის მაძიებლებს ფულადი დახმარება ენიშნებათ. თუ თავშესაფრის მიღებაზე პასუხი უარყოფითია, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ეს გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივროს.